ბი- ლის №	გლინვის ჩვევები	მომდევ- ნი გალის ზრუნთა ჩიქები M_{12} ბრჭთ	კინემა- ტიკური დაქი- მუ- ლობა E %	ხოლის განე- კეთის ფართი F_{30}^2	ვერტიკა- ლური დიამე- ტრი d_y მმ	ჰორი- ზონ- ტალური დი- ამეტრი d_x მმ	წინსწრება უკანა დაქიმუ- ლობის მრგვალ კალიბრში S %	საკონტაქტო წნევის შემცირება $P_{სკვ}$ %		გლინვის მომენტის ცვალებადობა $M_{გ}$ %	
								წინა დაქიმუ- ლობის ოვალურ კალიბრში	უკანა დაქიმუ- ლობის წრფულ კალიბრში	ვარდნი წინა დაქიმუ- ლობის ოვალურ კალიბრში	ზრდი უკანა დაქიმუ- ლობის მრგვალ კალიბრში
1.	ზარცვეთი	393	--	265	18,05	18,0	6,15	--	--	--	--
2.	წელ-ოვანი დაქიმუ- ლობით	410	0	265	18,05	18,0	6,15	--	--	--	--
3.	დაქიმუ- ლობით	415	1,2	262	18,03	17,85	5,75	2,0	3,5	16,5	3,0
4.	"...."	425	3,7	254	18,00	17,60	4,75	5,0	7,5	32,5	15,0
5.	"...."	435	6,1	245	17,95	17,30	4,15	7,5	12,5	42,5	27,7
6.	"...."	455	11,0	233	17,85	16,25	2,75	12,5	18,5	52,5	80,0
7.	"...."	465	13,4	224	17,80	16,75	2,25	13,5	23,5	--	--



ზოლის მდგომარეობის კვლევა ჩატარდა აგრეთვე ოვალი-წრე კვლიბრთა სისტემაში 18 მმ დიამეტრის მრგვალი ფოლადის ნახევრადუწყვეტი წრფის სორტული დგანის სუფთა უწყვეტ გალებში გლინვისას. თავისუფალი გლინვის რეჟიმიდან უწყვეტი გლინვის პროცესის გადახრის საზომს, ანუ უწყვეტი გლინვის ჩქაროსნული რეჟიმის გაუთანხმობის საზომს წარმოადგენდა გლინვის სვლის მიმართულებით მომდევნო გალში ლითონის შესვლის შესაძლო V_{i+1} სიჩქარის ფარდობა წინა გალიდან ზოლის გამოსვლის V_i სიჩქარესთან, ე.ი. $\epsilon = V_{i+1}/V_i$. კვლევის დროს გლინვის სიჩქარე მომდევნო გალში იყო მეტი, ვიდრე წინა გალიდან ზოლის გამოსვლის სიჩქარე, ე.ი. $\epsilon > 1$.


ზოლის დაჭიმულობის ძირითად საზომს წარმოადგენდა კინემატიკური დაჭიმულობა [1]:

$$\epsilon = \frac{\Delta n_{i+1}}{n_{i+1}} \cdot 100\%$$

სადაც n_{i+1} არის მომდევნო გალის გლინების ბრუნთა რიცხვი თავისუფალი რეჟიმისას; Δn_{i+1} - გლინების ბრუნთა რიცხვის ნაზრდი იმავე გალში.

წინა გალის გლინების ბრუნთა რიცხვი პრაქტიკულად მუდმივი რჩებოდა, $n_{11} = 322$ ბრ/წთ.

ზოლის დაჭიმულობის გავლენის კვლევა უწყვეტი გლინვის პროცესის პარამეტრებზე ჩატარდა მე-11 და მე-12 გატარებებში (ცხრილი) არსებული მეთოდით [2-4].




სურ. 2. მომიჯნავე სუფთა უწყვეტი გალების გლინების წრფილი სიჩქარის გაუ-თანხმობის გავლენა 18 მმ დიამეტრის მრგვალი ფოლადის განივი კვეთის ფართსა და ზომებზე: 1 - განივი კვეთის ფართის ცვალებადობა; 2 - ვერტიკალური დიამეტრის ცვალებადობა; 3 - ჰორიზონტალური დიამეტრის ცვალებადობა


ჩატარებულმა კვლევამ დაგვანახა, რომ გლინების წრფილი სიჩქარის გაუთანხმობა და შესაბამისად დაჭიმულობის ზრდა იწვევს ნაგლინის განივიკვეთის შემცირებას (სურ.2). კერძოდ, დგან 320-ზე 18 მმ დიამეტრის მრგვალი ფოლადის გლინვისას მომიჯნავე გლინების ბრუნთა რიცხვის გაუთანხმობა 1,2 % იწვევს ნაგლინის განივიკვეთის შემცირებას 1,1 %-ით, ხოლო 3,7 %-ით გაუთანხმობისას განივიკვეთი მცირდება 4,1 %-ით. ამრიგად, მცირე კვეთის სორტული პროფილების უწყვეტი გლინვისას შესაძლებელია განივიკვეთის შემცირება არა მარტო უშუალო გლინვით, არამედ მომიჯნავე გალებს შორის ზოლის დაჭიმულობით.

თავ. ამ შემთხვევაში, ე.ი. დაჭიმულობით გლინვისას, ზოლის გამოჭიმვის დეფორმაციაზე დახარჯული მუშაობა ნაკლებია თავისუფალ გლინვასთან

შედარებით. შესაბამისად წვრილსორტულ და მავთულსაგლინავ დგანებზე 12% ზღვრებში ზოლის დაქიმულობის ავტომატური რეგულირებით შესაძლებელი გახდება ზუსტი გეომეტრიული პროფილის მიღება უმცირესი ენერგეტიკული დანახარჯებით.




სურ.3. ზოლის უკანა დაქიმულობის გავლენა წინსწრებაზე ოვალური ზოლის მრგვალ კალიბრში გლინვისას (Ø 18 მმ მრგვალი ფოლადის გლინვა).



სურ.4. მომიჯნავე სუფთა უწყვეტი გალების გლინების წრიული სიჩქარის გაუთანხმოების გავლენა საშუალო საკონტაქტო წნევაზე Ø 18 მმ მრგვალი ფოლადის გლინვისას: 1 - მრგვალი ზოლის ოვალურ კალიბრში წინა დაქიმულობით გლინვისას; 2 - ოვალური ზოლის მრგვალ კალიბრში უკანა დაქიმულობით გლინვისას.

ზოლის დაქიმულობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს წინსწრებაზე (სურ.3) და საკონტაქტო წნევაზე (სურ.4). უკანა დაქიმულობის ზრდასთან ერთად წინსწრება მცირდება. უკანა დაქიმულობის დროს ადგილი აქვს საშუალო საკონტაქტო წნევის ინტენსიურ შემცირებას წინა დაქიმულობით გლინვისასთან შედარებით.



სურ.5. გლინების წრიული სიჩქარის გაუთანხმოების გავლენა გლინვის მომენტზე 18 მმ დიამეტრის მრგვალი ფოლადის გლინვისას: 1 - მრგვალი ზოლის ოვალურ კალიბრში წინა დაქიმულობით გლინვისას; 2 - ოვალური ზოლის მრგვალ კალიბრში უკანა დაქიმულობით გლინვისას.

ამასთან დადგინდა, რომ ზოლის დაქიმულობით გლინვისას ლითონის გლინებზე მოქმედი მთლიანი წნევის ძალის შემცირება ძირითადად ხდება საშუალო საკონტაქტო წნევის შემცირების ხარჯზე და უმნიშვნელოდ საკონტაქტო ფართის შემცირებით.

ზოლის უკანა დაქიმულობა მეტ გავლენას ახდენს გლინვის მომენტზე, ვიდრე იმავე სიდიდის წინა დაქიმულობა (სურ.5). წინა დაქიმულობა ეხმარება მთავარ ამძრავს, ხოლო უკანა დაქიმულობის დროს მთავარ ამძრავს უხდება როგორც ლითონის დეფორმაციის გადალახვა, აგრეთვე უკანა დაქიმულობით გამოწვეული წინააღმდეგობისა.

გლინვის ახალი ტექნოლოგიის და გლინების დაკალიბრების დამუშავებისას, ლითონის დეფორმაციისა და ძალოვანი პარამეტრების ცოდნა უზრუნველყოფს გლინვის პროცესის ოპტიმალური რეჟიმების სწორ შერჩევას.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
 ფ.თავაძის სახელობის მეტალურგიის
 ინსტიტუტი

(შემოვიდა 25.03.1993)

МЕТАЛЛУРГИЯ

Н.А.Вашакидзе

Влияние натяжения полосы на деформацию металла и силовые параметры

Резюме

В непрерывных клетях полунепрерывного мелкосортного стана исследовано влияние натяжения полосы на формоизменение металла, опережение, давление и момент прокатки. Показано, что при автоматическом регулировании натяжения в пределах 1-3% в чистовых непрерывных клетях мелкосортных и проволочных станов будет обеспечено получение профиля с точными размерами и наименьшими энергетическими затратами.

METALLURGY

N. Vashakidze

The Influence of Strip Tension on Metal Deformation and Force Parameters

Summary

The influence of strip tension on forming forward creep, pressure and moment of rolling in continuous stands of semi-continuous small-section mill was studied. It is shown that bars with exact sizes can be made with minimal power consumption by automatic control of tension in 1-3 % limit in finishing stands of smallsection and rod mill.

ლიტერატურა-ЛИТЕРАТУРА-REFERENCES

1. А.П.Чекмарев, Г.П.Борисенко. Обработка металлов давлением. М., 1962 (ДМетИ, Сб. № 48), 108-120.
2. Бурьянов, Е.С.Рокотян, А.Е.Гуревич. Расчет мощности двигателей главных приводов прокатных станов. М., 1962.
3. Е.С.Рокотян, С.Е.Рокотян. Энергосиловые параметры обжимных и листовых станов. М., 1968.
4. Прокатное производство. Справочник. Том. I. М., 1962.

მ. ქიმერიძე

Atriplex cana C.A.Mey. (Chenopodiaceae) შიდა ქართლში

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გ.ნახუცრიშვილმა 10.05.1993)

შიდა ქართლის ქსეროფილური ფიტოლანდშაფტების ფლორის შესწავლისას აღმოჩენილ იქნა კავკასიის ფლორის უიშვიათესი სახეობა *Atriplex cana* C.A.Mey., რომელიც შესატყვისი საპერბარიუმო მასალის საფუძველზე, არსებითად პირველად მოგვყავს შიდა ქართლის ტერიტორიისათვის - შიდა ქართლი, კასპის რაიონი, კვერნაქის ქედის სამხრეთი კალთა, კოწახურას ხევი, 600 მ ზღვის დონიდან. ჩრდილოეთის ექსპოზიცია. მლაშობის მცენარეულობა. 10.11.1991, მ.ქიმერიძე.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ეს სახეობა საქართველოსთვის მოხსენებული აქვს მ.საბოკიას [1] შირაქის პლატოს ბედლენდების მცენარეული კომპლექსისათვის. ამასთანავე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის პერბარიუმში დაცულია ზემოხსენებული სახეობის ერთადერთი საპერბარიუმო ნიმუში - *Atriplex cana* C.A.Mey. ვაშლოვანი (Заповедник Вост. Грузия). На холмах, почва солончаковая. Novitas pro ditione. 5.X.1958. М.Ф.Сахокиа, И.Е.Сохадзе (იტალიურად აღნიშნულია, რომ ეს ტაქსონი ამ რეგიონისათვის ახალია). დასახელებული ტაქსონი შეტანილი არ არის „საქართველოს მცენარეების სარკვევში“, რომელიც გამოცემულია 1969 წელს; ხოლო „საქართველოს ფლორის“ მეორე გამოცემის III ტომში [2] (1975 წ.) ავტორს - ო.კაპელერს აღნიშნული სახეობა საქართველოსათვის (შირაქის ველი, ვაშლოვანის ნაკრძალი) პირველად მოჰყავს ზემოხსენებული საპერბარიუმო ნიმუშის საფუძველზე.

Atriplex cana C.A.Mey.-ს ჩვენ მიერ შეგროვებული საპერბარიუმო ნიმუშები ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის (TGM), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის (TBI) და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერბარიუმებში.

ჩვენ მიერ აღნიშნული ადგილსამყოფელი წარმოადგენს *A.canu* C.A.Mey.-ს გავრცელების ერთ-ერთ დასავლეთ მიჯნას და მისი ძირითადი არეალისაგან დაცილებულია დიდი მანძილით.

მცენარეულობის ძირითად კომპონენტებს, რომელთა შორის იზრდება ზემოაღნიშნული სახეობა *A.canu* C.A.Mey., წარმოადგენენ სახეობები: *Nitraria schoberi* L., *Kochia prostrata* (L.) Schrad., *Ceratoides papposa* Botsch. et Ikonn.; *Amberboa glauca* (Willd.) Grossh., *Sosnowskya amblyolepis* (Ledeb.) A.Takht. და *Puccinellia bulbosa* (Grossh.) აქ *A.canu* C.A.Mey.-ს პოპულაცია წარმოდგენილია სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებით, რომელთაგან ყველაზე ხნიერი ინდივიდები არსებითად ნამდვილი ბუჩქების შთაბეჭდილებას ტოვებს. იგი ტიპიური ქსეროპალიფიტია. მისი ფოთლები და ერთწლიანი ყლორტები ვერცხლისფრად და შებუსეცილი თავისებური ქერქლისებური ბეწვებით, რაც ზღუდავს აორთქლებას და მცენარის გადახურების შესაძლებლობას. სასიცოცხლო ციკლს ნორმალურად ასრულებს ექსტრემალურ გარემოში, ჰაერისა და ნიადაგის ფიზიკური თუ



ფიზიოლოგიური სიმშრალის პირობებში. არეალის ძირითად ნაწილში - უდაბნოში მის ფორმაციას ლანდშაფტური მნიშვნელობა აქვს საკმაოდ დიდი ფართობზე [3].



რუკა . *Atriplex cana* C.A.Mey. -ს არეალი კავკასიაში

A.can C.A.Mey. ჩრდილოეთურანული სახეობაა, მაგრამ იზოლირებულად გავრცელებულია ჩინეთისა და მონღოლეთის ჯუნგარიის პროვინციაში - ძირითადი არეალის აღმოსავლეთით, ხოლო ჩრდილოეთით - ყაზახისტანის სტეპურ ოლქში. მისი იზოლირებული გავრცელების უკიდურესი დასავლეთი მიჯნა სამხრეთ ყირიმშია. კავკასიაში იგი გვხვდება აზერბაიჯანსა (ბოირუბ-ენჩი X ჯიგატი) [4-6] და საქართველოში - ვაშლოვანსა და შიდა ქართლში, კასპის რაიონის მიდამოებში (რუკა).

Atriplex cana C.A.Mey. ხასიათდება დიზუნქციური არეალით. ამ მხრივ მას დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ფლორისა და მცენარეულობის ფორმირების ისტორიის შეცნობისათვის.

ივ.ჭავჭავაძის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

(შემოვიდა 17.05.1993)

М.К.Кимеридзе

Atriplex cana C.A.Mey. (Chenopodiaceae) в Шида-Картли

Резюме

При изучении флоры ксерофильных фитоландшафтов Шида-Картли автор статьи собрал новый для флоры Шида-Картли вид *Atriplex cana* C.A. Mey. Он был собран в Шида-Картли, в Каспском р-не, на южных склонах Квернакского хребта, в ущелье Коцахура, на локальных солончаках.

Отмеченное местонахождение представляет собой один из западных рубежей распространения *Atriplex cana* C.A.Mey. и оторвано от основного ареала этого вида большим расстоянием.

BOTANY

M. Kimeridze

Atriplex cana C.A.Mey. in Shida Kartli

Summary

During the study of xerophilous phytolandscapes' flora of Shida Kartli the author of this article gathered new species of *Atriplex cana* C.A.Mey. for flora of Shida Kartli. It was gathered in Shida Kartli, in neighbourhood of Kaspi, on the Southern slopes of the Kvernaki ridge, in ravine Kotsakhura, on local solonchaks.

The noted location is one of the western borders of *Atriplex cana* C.A.Mey. spread and it is cut from the basic area of this species by a long distance.

ლიტერატურა-ЛИТЕРАТУРА-REFERENCES

1. М.Ф.Сахокна . В кн.: Ботанические экскурсии по Грузии. Тбилиси, 1958, 7-30.
2. თ.კაპელური. გვარი *Atriplex* L. საქართველოს ფლორა. მე-2 გამოცემა. III, თბილისი, 1975, 182-191.
3. Е.М. Лавренко, Н.И.Никольская. Ботан. ж., 48, 12, 1963, 1741-1761.
4. А.А.Гроссгейм. Флора Кавказа. 2-е изд. т. III. Баку, 1945.
5. М.М.Ильин. В кн.: Флора СССР. Т. VI. М.Л., 1936, 77-107.
6. И.И.Карягин. В кн.: Флора Азербайджана, т. III. Баку, 1952, 199-205.

გ.ბაღრიძე, მ.დოლიძე, შ.ჭანიჭიანი

სიმაღლის ფაქტორის გავლენა ზოგიერთი ბალახოვანი მცენარის ფოტოსინთეზის ინტენსივობაზე

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ნ.ნუცუბიძემ 6.05.1993)

ფოტოსინთეზი წამყვანი სასიცოცხლო პროცესია მცენარეთა სამყაროში. ამდენად, მისი ეკოლოგიური თვალსაზრისით შესწავლა დღეისათვის მცენარეთა ყურადღების ცენტრშია. ეკოლოგიურ-ფიზიოლოგიური გამოკვლევებით ვიღებთ ინფორმაციას სხვადასხვა მცენარეთა როლის შესახებ ეკოსისტემებში მიმდინარე მატერიალურ-ენერგეტიკულ პროცესებში. ვიგებთ, თუ როგორ ფუნქციონირებს ესა თუ ის ეკოსისტემა სხვადასხვა ბიომებში, როგორ რეგულირდება მათი მუშაობა, როგორ ხდება ბიომასის დაგროვება [1].

სიმაღლის ფაქტორის გავლენა მცენარის ფოტოსინთეზურ აქტივობაზე შესწავლილია რიგი მცენარეების მიერ [2-8], მაგრამ ზოგ ავტორს მიაჩნია, რომ საკითხი მთის მცენარეთა მაღალი ფოტოსინთეზური აქტივობის შესახებ, ბარის მცენარეებთან შედარებით ჯერ კიდევ არ არის გარკვეული საბოლოოდ. საამისოდ არ არსებობს საკმარისი შედარებითი მონაცემები. ასევე არ არის დადგენილი „ისწავლეს“ თუ არა მაღალმთიანეთის მცენარეებმა დაბალი კონცენტრაციის ნახშირორჟანგის გამოყენება [9]. მართლაც, ზემოხსენებულ მცენარეთა ცდების შედეგები საპირისპიროა და საკითხს საკამათოს ხდის. აღნიშნული ავტორები სხვადასხვა მაღალმთიან რეგიონებში ატარებდნენ ცდებს, სადაც კლიმატური პირობები მეტბაკლებად განსხვავებული იყო, ამდენად, შედეგებიც ერთნაირი ვერ იქნებოდა. ნასიროვმა საკუთარი გამოკვლევებისა და ლიტერატურული მონაცემების საფუძველზე დაასკვნა, რომ ნოტიო და ზომიერად ნოტიო ჰავის პირობებში მცენარეებს დაბალი ფოტოსინთეზური აქტივობა ახასიათებთ, რაც მისი აზრით, ფერმენტული პროცესების შენელებით, ტემპერატურის და ნახშირორჟანგის უკმარისობით აიხსნება [6]. ცენტრალურ ალპებში ჩატარებული დაკვირვებით მაღალმთიანეთის მცენარეებთან შედარებით [9], რის საფუძველზეც ავტორები ასკვნიან, რომ სიმაღლის მატებასთან ერთად ნახშირორჟანგის გამოყენების ეფექტურობა იზრდება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ინტერესს უნდა იმსახურებდეს ჩვენ მიერ ჩატარებული დაკვირვებები ზოგიერთი ბალახოვანი მცენარის ფოტოსინთეზურ აქტივობაზე, მკვეთრად განსხვავებულ გარემოპირობებში (შირაქი - მშრალი ველი, ყაზბეგი - სუბალპები). შირაქის ზეგანის (500-600 მ ზ.დ.) ჰავა კონტინენტური ჰავის ნიშნებით ხასიათდება. ზამთარი აქ ზომიერად ცივია (0-14°). ზაფხულის ყველაზე ცხელი პერიოდის (ივლისი-აგვისტო) საშუალო ტემპერატურაა 25°C (აბსოლუტური მაქს. 40°C). ატმოსფერული ნალექები მკვეთრად განსაზღვრულია (400-500 მმ). ზოგჯერ მთელ სეზონზე ნალექები არ მოდის [10]. ცენტრალური კავკასიონის მაღალმთიანეთი (სუბალპები 1800-2500 მ ზ.დ.) ზომიერად ნოტიო კლიმატით ხასიათდება, ცივი ზამთრითა და გრილი ზაფხულით. ნალექების საშუალო წლიური



რაოდენობა 700-800 მმ. მათი მაქსიმუმი ზაფხულის თვეებზე მოდის, ყველაზე თბილი თვეების საშუალო ტემპერატურაა (ივლისი-აგვისტო) 14-18°C (მაქს. +30°C) [11].

ჩვენ მიერ შესწავლილია ორივე პუნქტში მოზარდი 7 სახეობის ბალახოვანი მცენარის ფოტოსინთეზური აქტივობა, წივანა - *Festuca valesiaca*, ვაციწვერა - *Stipa capillata*, ტიმოთელა - *Phleum phleoides*, სათითურა - *Dactylis glomerata* (Poaceae), ენდრონიკა - *Galium verum* (Rubiaceae), აბზინდა - *Artemisia Sosnowskyi* (ყაზბეგი), *A. hanseni* (შირაქი). ფოტოსინთეზური აქტივობა განისაზღვრებოდა რადიომეტრული მეთოდით [12]. კამერაში ნახშირორჟანგის საერთო კონცენტრაცია 0,06%-ს შეადგენდა, ¹⁴CO₂-ის აქტივობა - 300 მკ/კლ. მოწყვეტილი ფოთლის ექსპონირება კამერაში ხდებოდა 10, 30, 60 წმ განმავლობაში, რაც ხანმოკლე ექსპოზიციების დროს ¹⁴CO₂-ის შეთვისების დინამიკის დადგენის საშუალებას იძლევა.

ფოთლების 10 წმ-იანი ფოტოსინთეზური აქტივობის განხილვისას შეიმჩნევა შემდეგი: შირაქში მოზარდ არამარცვლოვან სახეობებს მარცვლოვნებთან შედარებით, მკვეთრად გამოხატული ფოტოსინთეზური აქტივობა ახასიათებთ. ექსპოზიციის მატებასთან ერთად (30 წმ.), ნახშირბადის ასიმილაციის ინტენსივობა იზრდება (გამონაკლისია ვაციწვერა). ამასთან, ფოტოსინთეზის ინტენსივობის მკვეთრად გამოხატული სხვაობა მარცვლოვნებსა და არამარცვლოვნებს შორის შენარჩუნებულია. მომდევნო 60 წმ-იან ექსპოზიციაში ტიმოთელასა და ვაციწვერას ფოტოსინთეზური აქტივობა თითქმის იმავე დონეზე რჩება, ხოლო წივანასა და სათითურაში - მკვეთრად შემცირებულია. არამარცვლოვნებში ფოტოსინთეზის ინტენსივობა მკვეთრად იმატებს (ცხრ. 1). ექსპოზიციის გაზრდასთან ერთად ფოტოსინთეზური აქტივობის კლება წივანასა და სათითურაში, შესაძლებელია, განპირობებული იქნას იმით, რომ ფოთლები ცდის პროცესში წყლის ხელოვნური დეფიციტის პირობებში მოხვდა, რამაც გამოიწვია ფოთლის საპასუხო რეაქცია - დაიხურა ბაგეები და შენედა ფოტოსინთეზი. ვიზუალურად ეს ფოთლების დახვევით გამოიხატა, რაც აღნიშნული მარცვლოვნებისთვის არახელსაყრელ პირობებშია დამახასიათებელი. წყლის დეფიციტისადმი განსხვავებული რეაქცია შესწავლილ მცენარეებში, შესაძლებელია, მათი განსხვავებული წყლის რეგიმითა გამოწვეული. წივანა და სათითურა პილროსტატიკური მცენარეების მსგავსად იქცევიან, ხოლო დანარჩენები - პილროლაბილური მცენარეების მსგავსად [13].

ცხრილი 1

შირაქში მოზარდ მცენარეთა ფოტოსინთეზის ინტენსივობა (იმპ.წთ. 10⁻³. გ⁻¹ მშრალი წონა)

მც.	10 წმ.	30 წმ.	60 წმ.
ტიმოთელა	14,2	35,5	49,6
წივანა	34,4	113,7	19,8
ვაციწვერა	44,7	37,2	42,1
სათითურა	64,5	102,0	22,3
ენდრონიკა	95,5	267,1	497,4
აბზინდა	202,5	289,7	369,7

საინტერესოდ იქცევა ვაციწვერა - მას თითქმის უცვლელი ფოტოსინთეზური აქტივობა ახასიათებს, რაც არახელსაყრელი პირობებისადმი მის კარგ შეგუებაზე მეტყველებს.

ყაზბეგში მოზარდ მცენარეებში 10 წმ-იანი ექსპოზიციის განხილვისას ფოტოსინთეზურ აქტივობაში მკვეთრი განსხვავება მარცვლოვნებსა და არამარცვლოვნებს შორის, როგორც ეს შირაქში აღინიშნა, არ შეიმჩნევა, თუმცა



ცხრილი 2
 ყაზბეგში მოზარდ მცენარეთა
 ფოტოსინთეზის ინტენსივობა
 (იმპ./წთ. 10^{-3} . გ⁻¹ მწრალი წონა)

მც.	10 წმ.	30 წმ.	60 წმ.
ტიმოთელა	325,8	663,8	117,5
წივანა	224,0	346,6	280,6
ვაციწვერა	178,5	346,6	260,6
სათითურა	301,5	582,3	233,3
ენდრონიკა	494,9	615,0	259,7
აბზინდა	235,6	864,8	254,9

წყლის ხელოვნურ დეფიციტს, რომელშიც, როგორც აღვნიშნეთ ცდის დროს ხვდება მცენარე, ერთნაირად - ფოტოსინთეზური აქტივობის დაქვეითებით უპასუხეს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ყაზბეგში მოზარდი მცენარეები წყლის დეფიციტს ნაკლებადაა შეგუებული. ამიტომ ჰიდროლოგიური და ჰიდროსტატიკური მკვეთრი სურათი შირაქის მცენარეებისაგან განსხვავებით აქ არ ვლინდება და მცენარეთა რეაქციაც წყლის ხელოვნურ დეფიციტზე ერთნაირია.

ამ ორი ადგილსამყოფელის მცენარეთა ფოტოსინთეზური აქტივობების ერთმანეთთან შედარებისას აშკარაა, რომ ყაზბეგში მოზარდ მცენარეებს მაღალინტენსიური ფოტოსინთეზი ახასიათებთ, რაც განსაკუთრებით გამოიკვეთება მარცვლოვნების ფოტოსინთეზური ინტენსივობების შედარებისას. თუ შირაქში მოზარდი მცენარეები (აბზინდა, ენდრონიკა) იკეცვიან როგორც ჰიდროლოგიური, ყაზბეგში მოზარდ ინდივიდებზე ამას ვერ ვიტყვით. შირაქში მოზარდ სხვადასხვა ჯგუფის (მარცვლოვნები, ორლებნიანი ქსეროფიტები) მცენარეებში მკვეთრადაა გამოკვეთილი ფოტოსინთეზური აპარატის არიდული პირობებისადმი შეგუება.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
 ბოტანიკის ინსტიტუტი

(შეზღვევა 14.05.93)

ФИЗИОЛОГИЯ РАСТЕНИЙ

Г.Ш.Бадридзе, М.Ш.Долидзе, Ш.Ш.Чанишвили

Влияние высотного фактора на интенсивность фотосинтеза некоторых травянистых растений

Резюме

С целью изучения влияния высотного фактора на фотосинтетическую активность были исследованы 7 видов растений в двух различных местностях (Шираки — сухая равнина, 500-600 м н.у.м., Казбеги — субальпы, 1800-2500 м н.у.м.): *Festuca valesiaca*, *Stipa capillata*, *Dactylis*



glomerata, Phleum phleoides (Poacea), Galium verum (Rubiaceae), Artemisia hanseniana (შირაკი), A. Sosnowskiy (კაზბეგი). Интенсивность фотосинтеза определяли радиометрическим методом. Общая концентрация CO_2 в камере составляла 0,06%, активность $^{14}\text{CO}_2$ - 300 мк к/л. Срезанные листья экспонировались в камере в течение 10, 30, 60 сек для определения усвоения $^{14}\text{CO}_2$ в динамике.

Установлено, что растения, произрастающие в гумидных условиях Казбеги, выделяются более высокой фотосинтетической активностью. Четкая картина гидролабильности (Artemisia, Galium) и гидростабильности (остальные виды) растений в условиях Шираки нивелируется в Казбеги. В условиях Шираки приспособленность фотосинтетического аппарата к возможному дефициту воды выражена более четко.

PLANT PHYSIOLOGY

G.Badridze, M.Dolidze. Sh.Chanishvili

The Influence of Altitude on Photosynthetic Intensity of Some Herbasceous Plants

Summary

For studing the influence of altitude on the photosynthetic activity 7 species of herbasceous plants from different inhabitations (Kasbegi - subalps 1800-2500 m. Shiraki-arid field 500-600 m.) were investigated. Festuca valesiaca, Stipa capillata, Dactylis glomerata, Phleum phleoides, (Poacea), Galium verum (Rubiaceae), Artmenisia hanseniana (Shiraki), A. Sosnowskiy (Kasbegi) Compositae. The photosynthetic intensity was studied radiometrically, exposing cut leaves in chamber with CO_2 concentration 0,06% and $^{14}\text{CO}_2$ activity 300 mc.C./l. during 10, 30 and 60 sec. to follow the $^{14}\text{CO}_2$ involvement in dynamic.

It is determined, that the photosynthetic intensity of plants from humid conditions of Kasbegi is higher. The clear picture of hydrolability and hydrostability of plants in Shiraki is lost in Kasbegi. Response of photosynthetic apparatus to possible water deficiency in arid conditions of Shiraki is seen clearer.

ლიტერატურა-ЛИТЕРАТУРА-REFERENCES

1. *О.В.Заленский*. Экологический аспект изучения фотосинтеза. Тимирязевские чтения. М., 1977.
2. *G.Bonnier*. ANN. Sci. Nat. (Bot.), 20, 1895.
3. *E. Cartellieri*. Math.-Naturwiss. 149, 1940.
4. *О.В.Заленский*. Изв. Тадж. фил. АН СССР, 8, 1944.
5. *Т.А.Глаголева. Л.А.Филишова*. Пробл. бот., 7, 1965.
6. *Ю.С.Насыров*. Автореферат докт. дисс. Душанбе, 1966.
7. *W. Larcher*. Ber. Dtsch. bot. Ges., 96, 1983.
8. *Ch. Korner*. Ecologia. 53, 1982.
9. *Х.Кёрнер*. Экология высокогорий. Тбилиси, 1988.
10. *М.Ф.Сахокия, М.Г.Сохадзе*. Биоэкология и фитоценология. Тбилиси, 1965.



11. *Г.Ш.Нахуцришвили*. Экология высокогорий. Тбилиси, 1988.
12. *В.Л.Вознесенский, О.А.Семихатова, О.В.Заленский*. Методы исследования фотосинтеза и дыхания растений. Л., 1965.
13. *В.Лархер*. Экология растений. М., 1978.

A.Kezeli and Homeriki

Lightness Constancy in Cats

(Presented by W.Mosidze Corr.member of the Academy 12.03.1993)

One of the main tasks that can be solved by visual system is the maintenance of constancy of main characteristics of the objects. The maintenance of lightness constancy is among them. The physiological mechanisms of the lightness constancy serve for correct discrimination of the lightness of the object under alternating illumination conditions. This ability must be typical for all highly organized visual systems.

Most of the experimental findings on the problem are obtained in psychophysical experiments in humans [1-4], while the knowledge about the visual system of animals is rather poor. It might be linked with the fact that the animal experiments require more complex methodical approach and have proved to be yielding to the interpretation with difficulty. However, answers to most of these questions on functioning of physiological mechanisms that provide lightness constancy could only be found in the experiments on animals.

In this regard the cat's visual system seems to be most interesting since constant perception of lightness of the objects must be of particular importance for this night predator beast because of its way of life. The ability of cat's visual system to accomplish the colour constancy was shown in our previous experiments [5].

The experiments on 2 adult male domestic cats were carried out everyday, except Saturday and Sunday. On the experimental days the cats received their daily share of meat in the experimental chamber.

The experiments were carried out in a chamber with a starting box, partitioned from the remaining part by means of a raisable door. At a distance of 100 cm from this door, on the opposite side of the chamber, in its lower left and right corners, there were two feeders. Above each feeder there was a rectangular transparent door made of organic glass. The stimuli were placed behind the transparent doors. The walls of the chamber were painted white.

The stimuli were uniformly coloured mat-finish papers with previously fixed spectral characteristics. Two groups of stimuli "green" and "lilac" were used. The stimuli of each group, despite their lightness, kept almost the same position in the colour space of cat.

The incandescent lamps of 100 watt capacity were used as light source. Four illuminating versions were employed:

1. A diffuse illumination (80 lux) spread in the whole chamber.

2. An illumination of the chamber was changed so that the corner where the lighter stimulus was presented was darkened and the corner with the darker stimulus was illuminated. The 10 lux difference between the brightness was preserved.



3. The illumination spread in the whole chamber; in addition, the light was directed only onto the stimuli. The lighter stimulus was illuminated less than the darker one. The difference being 10 lux.

The stimuli and the conditions of illumination were thus chosen that the difference in brightness of presented dark and light stimuli always was 10 lux.

In the present behavioral experiments conditioned motor-alimentary method was used. The procedures for training and testing already trained cats consisted of the following: two stimuli were simultaneously presented to the cat: a reinforced dark stimulus and a differentiated light stimulus. The triggering signal was opening of the door of the starting box. The cat was supposed to rush to the feeder above which a dark stimulus was presented, and having opened the door of the feeder by pressing with a paw or a muzzle, to gain an access to the piece of meat. To exclude the possibility of smell differentiation, the meat was placed in both feeders. If the wrong door was chosen, it would not open, and the cat would be driven into the starting box without a reinforcement. The cats were presented with stimuli approximately 20 times per day. The interval between the starts was 1 min. The places of the stimuli were changed in a certain sequence, by which the possibility of the development of simple strategy, a type of preference for one side or sequential change of the direction, was ruled out.




Fig.1. The differentiation of the stimuli according to their lightness. A – dark vs light green stimuli, B – dark vs light lilac stimuli, differentiated under the initial illumination with an incandescent lamp. C – dark vs light green stimuli, differentiated in condition with changed illumination. D – dark vs light green stimuli, again differentiated under the initial illumination.

In the first series of experiments, when the whole chamber was illuminated by a 80 lux diffuse light, the cats were trained to choose a darker stimulus between the two, simultaneously presented, green stimuli. After attaining the statistically significant level of differentiation (75% of correct choices), the green stimuli were substituted with light and dark lilac ones. The animals were found to shift easily from the old stimuli and to begin choosing the darker ones (Fig. 1 A,B,D).

In the second series of experiments, in order to achieve the reduction of the light reflection we have alternated the illuminating light in different corners of the chamber. By darkening the corner, where the lighter stimuli were presented, we achieved such a condition where

the reflection of the lighter stimuli was 10 lux less than that of the darker ones. However, the animals kept choosing the stimulus which was previously darker rather than that reflecting now less light (Fig. 1 B).




Fig.2 The differentiation of the stimuli according to their lightness in conditions when only the stimuli were illuminated. The darker stimulus was 10 units brighter than the previous light one (brightness difference between dark and light stimuli was 10 units initially).

In the third series of experiments the illumination of the stimuli themselves was changed, while the total illumination of the chamber remained the same. As in the second series of experiments the illumination of the stimuli was in such a way chosen that now the lighter stimulus reflected 10 lux less light than the darker one. Despite the preserved difference, the animals began choosing the stimulus reflecting less light rather than the darker one (Fig.2).

As one can observe from the first series of experiments, the cats have demonstrated an easy pattern of acquisition of differentiated responses to the stimuli and the ability to distinguish them by lightness only. These findings clearly indicate that this very index must play a significant role in the visual system of the cat. The fact that the changing of the colour of the stimuli has not resulted in any differentiation disturbances, enables us to ascertain that between the two main characteristics of the object, i.e., lightness and colour, the

preference is given to the former. The fact that the cats can distinguish objects only by their colour was reported in our previous works.

The significance of the data obtained in the second series of experiments considered by us to be very important, lies in the fact that the information on the conditions of total illumination proved to be enough to be processed by the cat's visual system; therefore the animal was able to distinguish relative lightness of the surface, not depending on the actual reflection of the light by surface itself. And on the contrary, when only the stimuli were illuminated (the third series) the information on a common source was absent; thus the cat's visual system had to orient according to the actual reflection of the surface (radiation). It can be therefore assumed that the visual system of the cat, irrespective of the illumination conditions created by the neutral light sources, is able to distinguish relative lightness of the object constantly.



A.P.Кезели, M.C.Хомерики

Константность светлоты у кошек

Резюме

Исследована способность зрительной системы кошек различать объекты по светлоте их поверхностей в условиях меняющегося освещения. С помощью пищевой условнорефлекторной методики было показано, что кошки могут дифференцировать стимулы по их относительной светлоте при наличии информации об условиях освещения. Если такая информация отсутствует, животное начинает допускать ошибки, что указывает на способность зрительной системы кошки осуществлять „константность“ светлоты.

ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგია

ა.კეზელი, მ.ხომერიკი

სიბაცის კონსტანტობა კატებში

რეზიუმე

შესწავლილია კატის მხედველობის სისტემის უნარი სხვადასხვა განათებულობის პირობებში მოახდინოს ობიექტთა გარჩევა მათი ზედაპირების სიბაცის მიხედვით. კვებითი პირობითრეფლექსური ქცევის მეთოდის გამოყენებით ნაჩვენებია, რომ კატებს შესწევთ უნარი, გაარჩიონ სტიმულები მათი შეფარდებითი სიბაცის მიხედვით იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ინფორმაცია განათების პირობების შესახებ. თუ ასეთი ინფორმაცია არ არსებობს, ცხოველი იწყებს შეცდომების დაშვებას, რაც მიუთითებს იმაზე, რომ კატის მხედველობის სისტემას გააჩნია ე.წ. „სიბაცის კონსტანტობის“ განხორციელების უნარი.

ლიტერატურა-ЛИТЕРАТУРА-REFERENCES

1. C.v.Campenhausen. Die Sinne des Menschen. Einführung in die Psychophysik der Wahrnehmung. Bd I u II Stuttgart: Thieme, 1981.
2. C.v.Campenhausen. Naturwissenschaften, 73, 1986, 674.
3. C.v.Campenhausen. MNU, 42/3, (15.4.1989), 143-152.
4. A.Kezeli, V.Maximov, M.Homeriki, K.Anjaparidze, N.Tshvediani. Perception, 20, 1, 1991, 63-138.
5. A.P.Кезели, M.C.Хомерики. Сообщения АН Грузии, 142, 2, 1991, 369-371.

დ.ჩუბინიძე, ვ.ჩუბინიძე, ლ.ბერაძე

ეგზოგენურ ნივთიერებათა (ბენზოლი, ტოლუოლი, ფენოლი) გავლენა ვარდისებურ გერანში ეთერზეთის დაგროვებაზე


(წარმოადგინა აკადემიკოსმა გ.ვესიტაძემ 11.02.1993)

ჩვენ მიერ აღრე გამოქვეყნებულ სტატიაში [1] წარმოდგენილი იყო მასალები გლუკოზის, გლუტამინის მჟავასა და ლიმონის მჟავას გავლენის შესახებ ვარდისებურ გერანში ეთერზეთის დაგროვებაზე, სადაც ხაზგასმით იყო ნათქვამი ამგვარ გამოკვლევათა თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის შესახებ, რომ იგი საშუალებას იძლევა დავადგინოთ არა მხოლოდ ეგზოგენურ ნივთიერებათა გავლენა მცენარეში ეთერზეთის რაოდენობრივ შემცველობაზე, არამედ თვალი ვადევნოთ მცენარეში ეთერზეთების ბიოსინთეზის პროცესს საერთოდ. წინამდებარე სამუშაო ზემოაღნიშნულ გამოკვლევათა გაგრძელებად შეიძლება მივიჩნიოთ. საკვლევ მცენარეს ამჟერადაც ვარდისებური გერანი - *Pelargonium roseum* Ait. წარმოადგენდა, ხოლო ეგზოგენურ ნივთიერებებად შევარჩიეთ ბენზოლი, ტოლუოლი და ფენოლი. ცდები ტარდებოდა სინათლეზე და სიბნელეში. ყველა შემთხვევაში ცდის ყველა დანარჩენი პირობები (ტემპერატურული რეჟიმი, განათების ინტენსივობა, ცდის ექსპოზიცია და ა.შ.) იყო ერთნაირი, რაც საშუალებას იძლევა, ერთმანეთს შევადაროთ მიღებული შედეგები და დავადგინოთ ეგზოგენურ ნივთიერებათა ქემოპარიტი გავლენა მცენარეში ეთერზეთების დაგროვების დინამიკაზე.

ზემოაღნიშნულ სტატიაში [1] დეტალურადაა აღწერილი ექსპერიმენტთა ჩატარების პირობები და მათი მსვლელობა. ამის გამო, ამჟერად მათი დეტალური აღწერა ზედმეტად მიგვაჩნია და დავკმაყოფილდებით ცდების პირობების მხოლოდ ჩამოთვლით, კერძოდ: თითოეულ ცდაში გამოიყენებოდა სამი თვის ასაკის მცენარის 5-5 ეგზემპლარი. ცდები მიმდინარეობდა სტერილურ პირობებში და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სინათლეზე და სიბნელეში. ეგზოგენურ ნივთიერებათა კონცენტრაცია თითოეულ ცდაში იყო 1000 მგ/ლიტრ საკვებ ხსნარზე. გარემოს ტემპერატურა მერყეობდა 25-28°C-ის ფარგლებში. ცდის ექსპოზიცია იყო 2, 6, 12 და 24-საათიანი. განათების ინტენსივობა საშუალოდ აღწევდა 4000 ლუქსს. საცდელი მცენარის მწვანე მასა ცდის ვარიანტებისდა მიხედვით მერყეობდა 0,7-1,0 კილოგრამის ფარგლებში. მცენარიდან ეთერზეთის გამოსაყოფად გამოყენებული იყო ჰიდროდისტილაციის მეთოდი. წყლიანი ექსტრაქტებიდან ეთერზეთის გამოსაწვლილად გამოიყენებოდა გოგირდის ეთერი. გამოსაწვლილი ხსნარი გოგირდის ეთერის მოცილების მიზნით იხდებოდა, შრებოდა Na_2SO_4 -ით და იფილტრებოდა. რის შემდეგ ვწონილით და ესაზღვრავდით ეთერზეთის გამოსავლიანობას %-ბით საანალიზო მასალის ნედლეულზე გადაანგარიშებით. ექსპერიმენტის შედეგები წარმოდგენილია სურათზე, რომელშიც მოცემულია ეგზოგენურ ნივთიერებათა გავლენით მცენარეში ეთერზეთის დაგროვების ცვალებადობის კომპლექსური დანახათება. ამას გარდა, აქვე



წარმოდგენილია საკონტროლო ცდების შედეგები, რაც მათი ურთიერთშედარებასა და შედეგებსა დასაბუთებს.



გრაფიკული გამოსახულებიდან აშკარად ჩანს, რომ უკვე 2-საათიანი ექსპოზიციისას ტოლუოლისა და ფენოლის მოქმედებით მცენარეში ეთერზეთის შემცველობა შემცირებულია, რაც მასზე მიგვანიშნებს, რომ ეს ნივთიერებები მცენარეში შეღწევისთანავე ინიჰიბირებენ იმ მექანიზმებს, კერძოდ იმ ფერმენტულ სისტემებს, რომლებიც განაპირობებენ ეთერზეთების ბიოსინთეზს მცენარეში. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ 6, 12 და 24 - საათიანი ექსპოზიციისას ეთერზეთის რაოდენობა მცენარეში მინიმუმამდეა დასული, რაც კარგად ჩანს სურათზე.

შედარებით განსხვავებულ სურათს იძლევიან ის მცენარეები, რომლებსაც ბენზოლი მიეწოდათ. კერძოდ: პირველი ორი საათის განმავლობაში მცენარეში ეთერზეთის გარკვეულ მატებას აქვს ადგილი. იგი აპარბებს საკონტროლო ვარიანტს და აღწევს 0,14%-მდე მაშინ, როდესაც ამავე 2-საათიანი ექსპოზიციის პირობებში ეთერზეთის შემცველობა საკონტროლო ვარიანტში 0,11%-მდეა. შემდგომში, ბენზოლი, ექსპოზიციის მატების პარალელურად იწვევს მცენარეში ეთერზეთის შემცველობის თანდათანობით შემცირებას და 24-საათიანი ექსპოზიციისას დაახლოებით 0,07%-მდე დადის. როგორც ვხედავთ, ბენზოლის მცირე დოზები მცენარეში შეღწევისთანავე იწვევს ეთერზეთის ბიოსინთეზის გაძლიერებას, ხოლო, ხანგრძლივი ექსპოზიციისას მცენარეში ეთერზეთის დაგროვების ინტენსივობა მცირდება. მაგრამ ეთერზეთის დაგროვების კლება არა იმე მკვეთრად და სწრაფად, როგორც ტოლუოლისა და ფენოლის გავლენით, არამედ თანდათანობით, ხანგრძლივი დროის ინტერვალში. ვფიქრობთ, ეს ფაქტი შეიძლება აიხსნას იმით, რომ ბენზოლი, როგორც ქიმიურად ინერტული, ჰიდროფობული ნივთიერება, მცენარეში შეღწევისას მაინჰიბირებლად უშუალოდ არ უნდა მოქმედებდეს ფერმენტულ სისტემებზე. როგორც ჩანს, მცენარეში იგი განიცდის ბიოლოგიურ ჟანგვით გარდაქმნებს, რომლის დროს მიღებული შუალედური პროდუქტები იწვევენ სხვადასხვა ფერმენტული სისტემების ინიჰიბირებას და მათ შორის ეთერზეთების ბიოსინთეზის წარმმართველი ფერმენტებისაც.

რაც შეეხება ტოლუოლისა და ფენოლის სწრაფ მაინჰიბირებელ გავლენას, ამ მოვლენის ახსნას გვიადვილებს ლიტერატურულ მასალებზე დაყრდნობა, სადაც ნათქვამია, რომ მცენარეში ბენზოლის ჟანგვითი გარდაქმნის ერთ-ერთი პროდუქტი

სწორედ ფენოლია და რომ ფენოლისა და ტოლუოლის მცირე დოზებები აინჰიბირებს მცენარეში მიმდინარე მრავალი ფერმენტული სისტემის მოქმედებას [2].

სიბნელის პირობებში ჩატარებულმა ცდებმა აჩვენა, რომ გამოყენებული ეგზოგენური ნივთიერებების გავლენის საერთო სურათი მცენარეში ეთერზეთის დაგროვებაზე სინათლის ვარიანტის თითქმის იდენტურია მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ შემთხვევაში ეთერზეთის შემცველობა მცენარეში გაცილებით სწრაფად და მკვეთრად ეცემა, ვიდრე სინათლის პირობებში. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში გარკვეულ როლს უნდა ასრულებდეს სინათლისა და სიბნელის პირობებში მცენარეში მიმდინარე ფოტოსინთეზისა და სუნთქვის პროცესების ინტენსივობათა ურთიერთანაფარდობის ცვალებადობა, რაც გარკვეულწილად მოქმედებს მცენარეში ეთერზეთის დაგროვებაზე [3].

საკონტროლო ვარიანტებში ეთერზეთის შემცველობა მთელი 24 საათის განმავლობაში, შეიძლება ითქვას, უცვლელი რჩება.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
აკად. ს.დურმიშიძის სახელობის მცენარეთა
ბიოქიმიის ინსტიტუტი.

(შემოვიდა 19.02.1993)

БИОХИМИЯ

Д.В.Чубинидзе, В.В.Чубинидзе, Л.В.Берадзе

Влияние экзогенных веществ (бензол, толуол, фенол) на накопление эфирного масла в розовой герани

Резюме

Исследовано влияние бензола, толуола и фенола на биосинтез эфирного масла в розовой герани. Опыты проводились в стерильных условиях в темноте и на свету.

Показано, что вышеупомянутые экзогенные вещества ингибируют процесс биосинтеза эфирного масла в растении, но механизм их действия различается.

Высказано мнение об окислительном превращении бензола в растительном организме и ингибирующем действии его промежуточных продуктов на биосинтез эфирного масла.

BIOCHEMISTRY

D.Chubinidze, V.Chubinidze, L.Beradze

The Influence of Exogenic Substances (Benzol, Toluol, Phenol) on the Accumulation of Essential Oils in Rose Geranium

Summary

The influence of benzol, toluol and phenol on the biosynthesis of essential oils in rose geranium has been investigated. The tests have been carried out in sterile conditions in darkness and light.

It has been stated that the above mentioned exogenic substances inhibit biosynthesis of essential oils in the plant, but the mechanism of their action differs.



The oxidative conversion of benzol in the plant organism and inhibitive action of its intermediate products on essential oil biosynthesis has been proposed.

ლიტერატურა-ЛИТЕРАТУРА-REFERENCES

1. *В.В.Чубинидзе, Л.В.Берадзе.* Субтропические культуры, **204**, 4, 1986.
2. *Д.Ш.Угрехелидзе.* Метаболизм экзогенных алкалов и ароматических углеводов в растениях. Тбилиси, 1976.
3. *ვ. ჩუბინიძე.* საჭ. მეცნ. აკადემიის მოამბე, **119**, 2, 1985.

ვ.ჩუბინიძე, ნ.კვეციანი

ეთერზეთების შემცველობა განსხვავებულ პირობებში მოზარდი ნაძვისა და ფიჭვის წიწვებში

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ნ.ნუცუბიძემ 9.02.1993)

ატმოსფეროში მიმდინარე რთულ პროცესებში მონაწილე ბიოგენურ ნივთიერებებს შორის ეთერზეთებს და მის შემადგენელ კომპონენტებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. შესაძლოა, ისინი ისევე ჩართული აღმოჩნდნენ ატმოსფეროში მიმდინარე ფოტოქიმიურ თუ სხვა რეაქციებში და მათგან აირების წარმოქმნაში, როგორც სხვა აბიოგენური გამაქუქუქიანებლები [1,2]. აქედან გამომდინარე, მცენარეში ეთერზეთების წარმოქმნის პირობების ძიება მნიშვნელოვნად გვესახება.

ჩვენი კვლევის მიზანი იყო დაგვედგინა განსხვავებულ გარემო პირობებში მოზარდი ერთი და იმავე სახეობის ნაძვისა და ფიჭვის წიწვებში ეთერზეთების რაოდენობრივი შემცველობა და მისი ცვალებადობა სავეგეტაციო სეზონის სხვადასხვა ვადებში.

საკვლევ ობიექტად შევარჩიეთ ნაძვი - (*Picea orientalis* L.) და ფიჭვი - (*Pinus sylvestris* L.). საანალიზო მასალას ვიღებდით ერთსა და იმავე ვადებში ბათუმის ბოტანიკურ ბაღში, თბილისის ბოტანიკურ ბაღში და აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის ტერიტორიაზე (ყანობილის მთა), რომლებიც ზღვის დონიდან შესაბამისად 40,450 და 1700 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობენ. ამ ადგილმდებარეობათა შერჩევა დაკავშირებული იყო, ერთი მხრივ, მცენარეთა გადაადგილების ვერტიკალურ ზონალობასთან და, საერთოდ, ერთმანეთისაგან განსხვავებულ ბუნებრივ-კლიმატურ პირობებთან. ხოლო, მეორე მხრივ, გარემოს მენტალურ გამაქუქუქიანებასთან, რომელთა შორის აბასთუმანი ყველაზე სუფთა და მაღალი ზონაა, ბათუმში - შედარებით სუფთა და დაბალი ზონა, ხოლო თბილისი - შედარებით ქუჩიანი და საშუალო ზონა. გამოკვლევები ჩატარდა სავეგეტაციო სეზონის სამ ვადაში ნიმუშების აღების ადგილზე - თბილისში, აბასთუმანსა და ბათუმში. საანალიზო მასალას ვიღებდით დილის 10-დან 11 საათამდე მცენარის ვარჯის შუა ზონიდან, სამხრეთის მხრიდან. მცენარეული ნედლეულიდან ეთერზეთის გამოხდას ვაწარმოებდით ჰიდროდისტილაციის მეთოდით [3,4], რაც პრაქტიკულად შემდეგნაირად სრულდებოდა: 500 გ საანალიზო მასალას ვათავსებდით მრგვალიძირიან კოლბაში, ვამატებდით საანალიზო მასალასთან შედარებით 5-6-ჯერ მეტი მოცულობის წყალს, ვამაგრებდით მაცივარს, რომლის ბოლოში ვუყენებდით წვლით ავსილ სპეციილურ ზეთის დამკერს და კოლბას ვაცხელებდით ზეთის აბაზანაზე 130°C ტემპერატურამდე. გამოხდის სიჩქარე შეადგენდა დაახლოებით 60 წვეთ კონდენსატს წუთში. გამოხდა მიმდინარეობდა 5 საათის განმავლობაში ეთერზეთის დინების სრულ შეწყვეტამდე. დისტილატს ვაყოვნებდით და შემდეგ ვაცლიდით ზეთის ფენას. დისტილატში შერეული ზეთის ექსტრაქციას ვახდენდით პენტანით. საბოლოოდ ვანგარიშობდით ზეთის საერთო რაოდენობას. ცდები



ტარდებოდა ხუთჯერადი განმეორებით, საიდანაც იანგარიშებოდა მაჩვენებლები. საბოლოო შედეგები წარმოდგენილია ცხრილში.

ცხრილში მოყვანილი მასალებიდან ჩანს, რომ აგვისტოს პირველ დეკადაში ბათუმის, თბილისისა და აბასთუმნის ტერიტორიაზე მოზარდი ნაძვის წიწვებში ეთერზეთების შემცველობა საერთოდ მცირეა. მათი რაოდენობები იმდენად უმნიშვნელოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ იგი შეიძლება ანალიზის ცდომილების ფარგლებში მოთავსდეს და ამის გამო შეიძლება ითქვას, რომ პრაქტიკულად თანაბარია. ამ პერიოდში არ იგრძნობა არც ვერტიკალური ზონალობისა და არც სხვა რაიმე ბუნებრივი ფაქტორების გავლენა მცენარეში ზეთის დაგროვებაზე. სექტემბრის მეორე დეკადაში წიწვებში ზეთის შემცველობა ყველა მათგანში მომატებულია. განსაკუთრებით მკვეთრ სურათს ამ მხრივ აბასთუმნის ნიმუშები იძლევა, სადაც ზეთის შემცველობა ორჯერ და უფრო მეტადაა გაზრდილი. ამ პერიოდისათვის აბასთუმნის პირობებში მოზარდი ნაძვის წიწვებში თითქმის ორჯერ მეტი ეთერზეთი გროვდება, ვიდრე ბათუმის პირობებში მოზარდისა. ამ შემთხვევაში ნათლად იკვეთება მცენარეში ეთერზეთის ბიოსინთეზისა და მის დაგროვებაზე გარემოს საარსებო პირობების გავლენა. ოქტომბრის მეორე დეკადაში ზეთის შემცველობა ყველა მათგანში კლებულობს. თუმცა მისი რაოდენობა აბასთუმნის ნიმუშებში მაინც კარბობს დანარჩენ ორს. ზეთის რაოდენობრივი შემცველობის მიხედვით მეორე შედეგი აჩვენა თბილისის, ხოლო ბოლო - ბათუმის ნიმუშებმა.

ც ხ რ ი ღ ი

ეთერზეთების შემცველობა თბილისში, ბათუმსა და აბასთუმანში მოზარდი ნაძვისა და ფიჭვის წიწვებში ვეგეტაციის სხვადასხვა ვადაში

საანალიზო მასალა	ანალიზის ჩატარების თარიღი	საანალიზო მასალის რაოდენობა	ანალიზის ჩატარების ადგილი გ-ბით	ეთერზეთის საერთო შემცველობა მლ-ბით	ეთერზეთის შემცველობა % - ბით
ნაძვი	8.08-12.08	500	ბათუმი	0,24	0,048
			თბილისი	0,27	0,054
			აბასთუმანი	0,25	0,050
	10.09-14.09	"-"	ბათუმი	0,28	0,60
			თბილისი	0,40	0,080
			აბასთუმანი	0,65	0,110
	10.10-14.10	"-"	ბათუმი	0,25	0,050
			თბილისი	0,35	0,070
			აბასთუმანი	0,40	0,080
ფიჭვი	8.08-12.08	"-"	ბათუმი	0,50	0,100
			თბილისი	0,09	0,018
			აბასთუმანი	0,22	0,044
	10.09-14.09	"-"	ბათუმი	0,60	0,120
			თბილისი	0,25	0,050
			აბასთუმანი	0,44	0,088
	10.10-14.10	"-"	ბათუმი	0,45	0,090
			თბილისი	0,20	0,040
			აბასთუმანი	0,38	0,076



რაც შეეხება ფიჭვის, ეთერზეთის ბიოსინთეზის საერთო სურათი ნაძვის მსგავსაა. ამ შემთხვევაშიც აგვისტოს თვეში წიწვებში ეთერზეთის შემცველობა მცირე სექტემბერში იმატებს, ხოლო ოქტომბერში კვლავ მცირდება. მიუხედავად ამისა, ფიჭვი ნაძვისაგან მაინც განსხვავებულ სურათს იძლევა. კერძოდ, თუ ნაძვის შემთხვევაში ეთერზეთების რაოდენობრივი შემცველობით პირველ ადგილზეა აბასთუმანში მოზარდი ნაძვები, ხოლო უკანასკნელზე ბათუმში მოზარდი, ფიჭვის შემთხვევაში პირველი ადგილი უჭირავს ბათუმში მოზარდ ფიჭვებს, ხოლო უკანასკნელი - თბილისში მოზარდებს. აქედან ნათლად იკვეთება აზრი, რომ გარემო პირობების გავლენა ნაძვისა და ფიჭვის წიწვებში ეთერზეთის ბიოსინთეზსა და მის დაგროვებაზე ერთნაირი არ უნდა იყოს. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თუ ნაძვის შემთხვევაში, ანალიზის პირველ ვადაში, სხვადასხვა რეგიონში აღებული ნიმუშები ეთერზეთის შემცველობის მხრივ თითქმის არ განსხვავდებიან, ფიჭვის შემთხვევაში ბათუმში აღებულ ნიმუშებში ეთერზეთის შემცველობა პირველ ვადაშივე ქარბობს აბასთუმანის ნიმუშებს ორჯერ, ხოლო თბილისში მოზარდი ფიჭვებიდან აღებულ ნიმუშებს - ხუთჯერ. ანალიზის ჩატარების მეორე ვადაში სამივე რეგიონის ფიჭვის წიწვებში ზეთის რაოდენობა საერთოდ მომატებულია, მაგრამ გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით წიწვებში ეთერზეთის რაოდენობრივი შემცველობის თანმიმდევრობა უცვლელი რჩება. საგულისხმოა, რომ ფიჭვებს შორის ყველაზე მეტი ეთერზეთის შემცველობით გამოირჩევა ბათუმში მოზარდი ფიჭვის წიწვები, ხოლო ნაძვებს შორის ყველაზე ნაკლები შემცველობით კვლავ ბათუმის პირობებში მოზარდი ნაძვის წიწვები.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ცხადია, რომ განსხვავებულ გარემო პირობებში მოზარდი ერთი და იმავე სახეობის ნაძვი ან ფიჭვი განსხვავებული რაოდენობით ეთერზეთს აგროვებს, რაც ნათლად მიგვანიშნებს, რომ გარემო პირობები გარკვეულად მოქმედებს მცენარეში ეთერზეთის ბიოსინთეზსა და მის დაგროვებაზე. აქვე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ წიწვოვან მცენარეთა სხვადასხვა წარმომადგენლები წიწვებში ეთერზეთის დაგროვების თვალსაზრისით, და სავარაუდოა, რომ არა მხოლოდ ამ თვალსაზრისით, განსხვავებულად რეაგირებენ ერთნაირ საარსებო გარემო პირობებზე.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
ს.დურმიშიძის სახელობის მცენარეთა ბიოქიმიის
ინსტიტუტი

(შემოვიდა 1.03.93)

БИОХИМИЯ

В.В.Чубинидзе, Н.А.Кекелидзе

Содержание эфирных масел в хвоях сосны и ели, произрастающих в различных условиях среды

Резюме

В разные сроки вегетации проведены сравнительные анализы содержания эфирных масел в хвоях сосны и ели, произрастающих в различных условиях внешней среды - 40, 450 и 1700 м над уровнем моря.

Установлено, что в различных условиях произрастания интенсивность биосинтеза и накопления эфирных масел в хвоях у одних и тех же видов сосны и ели различная, но и одинаковые условия среды по - разному влияют на накопление эфирного масла в хвоях у сосны и ели.

V. Chubinidze, N. Kekelidze

The Composition of Essential Oils in the Needles of Pine and Elm Trees Grown in Different Environmental Conditions

Summary

Comparative analyses of the essential oil composition in the needles of pine and elm trees, grown in different environmental conditions - 40, 450 and 1700 m above sea level, have been carried out for different stages of their vegetation.

It has been stated that in different conditions of growing the intensity of biosynthesis of essential oils and their accumulation in the needles of pine and elm trees differ. The same environmental conditions also influence the accumulation of the essential oils in pine and elm tree needles differently.

ლიტერატურა-ЛИТЕРАТУРА-REFERENCES

1. *М.Мак-Ивен, Л.Филлипс.* Химия атмосферы. М., 1978.
2. *Г.М.Илькун.* Газоустойчивость растений. Киев, 1971.
3. *М.И.Горяев, И.Плива.* Методы исследования эфирных масел. Алма-Ата, 1962.
4. *Г.Я.Демьянов, В.И.Нилов, В.В. Вильямс.* Эфирные масла, их состав и анализ. М.-Л., 1933.

შ.სიკინავა, ლ.ზერეკიძე

პალეარქტიკის „*maculipennis*“-ის კომპლექსის სახეობათა რეპროდუქციული ურთიერთობისა და ზოგიერთი მათგანის სახელწოდებისათვის

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ბ.ფურაშვილმა 20.04.1993)

დღეისათვის პალარქტიკულ ზოოგეოგრაფიულ ზონაში მალარიის ძირითადი გადამტანის - „*maculipennis*“-ის კომპლექსიდან გავრცელებულია 13, ხოლო პალეარქტიკულ ზონაში კი 9 სახეობა. მაგრამ კომპლექსში შემაჯავალი ამ უკანასკნელი ზონის ცალკეულ ფორმათა სისტემატიკური მდგომარეობის გარშემო არ არის მკვლევართა ერთიანი შეხედულება [1-11]. აღნიშნული კომპლექსის სახეობათა მადიფანსტირებელი მორფოლოგიური განსხვავება ემყარება ძირითადად მათი კვერცხების დორსალური მხარის ეგზოქორიონის სპეციფიკურ სტრუქტურას [1,7,9]. მაგრამ მათი ტაქსონომიური სტატუსის დადგენისათვის მორფოლოგიურთან ერთად სადღეისოდ აუცილებელს წარმოადგენს ციტოგენეტიკური გამოკვლევების (ექსპერიმენტული ჰიბრიდიზაცია, ქრომოსომების დამახასიათებელი სტრუქტურა და სხვ.) შედეგები [3,4,12-17]. ასე მაგალითად, ჰიბრიდიზაციის შედეგად „*maculipennis*“-ის კომპლექსის ცალკეულ ფორმათა შორის რეპროდუქციული იზოლაცია, ანუ ციტოლაზმური შეუთავსებლობა წარმოადგენს კრიტერიუმს მათი სახეობრივი სტატუსის განსაზღვრისათვის. მოცემული კომპლექსის ფორმათა რეცეპროკული შეჭვარების შედეგად მიღებულია სტერილური, ანუ უსიცოცხლო თაობები, რომლებიც შეესატყვისებიან სახეობათა შორისულ ჰიბრიდებს. ამავ დროს ჰიბრიდები ხასიათდებიან პოპოლოგიური ქრომოსომების მეტად სუსტი სომატური კონიუგაციით, მაშინ როდესაც მშობლიური ფორმების კარიოტიპებში კონიუგაცია ყოველთვის მკიდროა [3,4,12-17]. მაშასადამე, აღნიშნული კომპლექსის ფორმათა ტაქსონომიური სტატუსისა და მათი სახელწოდების განსაზღვრისათვის აუცილებელია მორფოლოგიურ ნიშნებთან ერთად ციტოგენეტიკური გამოკვლევების ანალიზი. ქვემოთ მოყვანილია როგორც ლიტერატურული მონაცემები, ისე ჩვენ მიერ მიღებული შედეგები „*maculipennis*“-ის ფორმათა ჰიბრიდიზაციის გარშემო:

atroparvus X *labranchiae* - ჰიბრიდული თაობა F₁ სიცოცხლისუნარიანია, მათი დედლები ფერტილურია, მამლები - სტერილური; F₁-ის დედლებს შეუძლიათ შებრუნებითი შეჭვარება *atroparvus*-ის მამლებთან, რის შედეგადაც წარმოიშობა ფერტილური დედლები და 20-70 % ფერტილური მამლები [1,13,14].

atroparvus X *maculipennis* - F₁-ის მატლები კარგად ვითარდებიან, მათი იმაგო სიცოცხლისუნარიანია, მაგრამ თითქმის ყველა სტერილურია; F₁-ის დედლების 96%-ს საკვერცხეები განუვითარებელი აქვს, ხოლო მამლები მოკლებულია სპერმატოზოიდს, F₁-ის ზოგიერთ დედალს შეუძლია შექცევითი შეჭვარება *atroparvus*-ის მამლებთან, მაგრამ საკვერცხეების განვითარებას ადგილი არა აქვს [3,4].



atroparvus X subalpinus - F_1 -ის თაობა სიცოცხლისუნარიანია, დედლებს 30% საკვერცხეები განუვითარებელი აქვს, მამლები ყველა სტერილურია; F_1 -ის დედლების შესაძლო შეჯვარება **atroparvus**-ის მამლებთან იძლევა სიცოცხლისუნარიან შთამომავლობას, მაგრამ მიღებული მამლები სტერილურია, დედლების 50% კი ფერტილური [3,4].

atroparvus X messeae - F_1 -ის თაობათა განვითარება ჩვეულებრივ გრძელდება IV ხნოვანების მატლამდე, იშვიათად კი ქუპრამდე; არც ერთ შემთხვევაში იმაგო არ ყოფილა მიღებული [12,13].

atroparvus X sacharovi - F_1 -ის მატლები ილუპებიან ჩვეულებრივ, განვითარების III-IV სტადიაში, ხოლო ზოგ შემთხვევაში, როცა იჩეკება იმაგო, მამლების სათესლეები ატროფირებულია [3,4].

labranchiae X maculipennis - F_1 -ის მატლების დიდი ნაწილი ილუპება და მხოლოდ 20% ვითარდება იმაგომდე, მაგრამ დედლები და მამლები ყველა სტერილურია [3,4].

labranchiae X subalpinus - F_1 -ის მატლები თითქმის ილუპება, გამოჩეკილი ერთეული დედლები და მამლები სტერილურია [3,4].

labranchiae X messeae - F_1 -ის მატლების მცირე ნაწილი აღწევს IV სტადიამდე, მაგრამ დაქუპრებას ადგილი არა აქვს [3,4].

maculipennis X subalpinus - F_1 -ის მატლების უმრავლესობა ილუპება და მხოლოდ 25% ვითარდება იმაგომდე, მაგრამ მამლების სათესლეები ატროფირებულია, ხოლო დედლები კი ნორმალური [3,4].

maculipennis X messeae - F_1 -ის თითქმის ყველა მატლი ილუპება განვითარების სხვადასხვა სტადიაში. იშვიათ შემთხვევაში იჩეკება სიცოცხლისუნარიანი იმაგო, მაგრამ მამლები ყველა სტერილურია [3,4].

subalpinus X messeae - F_1 -ის კვერცხების დაახლოებით 60% ვითარდება იმაგომდე, მაგრამ მამლების სათესლეები ატროფირებულია, ხოლო დედლების საკვერცხეები კი ნორმალური და ამ უკანასკნელთ შესწევთ შექცევითი შეჯვარების უნარი [13].

maculipennis X sacharovi - F_1 -ის დედლების დაახლოებით 50%-ის საკვერცხეები განუვითარებელია, მამლები კი სტერილური.

subalpinus X sacharovi - შეჯვარების შედეგები თითქმის წინამავალი შემთხვევის ანალოგიურია.

melanoon X sacharovi - F_1 -ის მატლების დაახლოებით 60% ილუპება განვითარების სხვადასხვა სტადიაზე, გამოჩეკილი მამლები სტერილურია; დედლების 70% კი უნაყოფო.

როგორც ჰიბრიდიზაციის ლიტერატურული მონაცემებიდან, ისე ჩვენი ცდების შედეგებიდან ჩანს, „**maculipennis**“-ის ჭგუფის ცალკეული ფორმები ხასიათდებიან რებროდუქციული იზოლაციით. ლაბორატორიული პირობების მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში (**atroparvus X labranchiae**; **atroparvus X subalpinus**; **subalpinus X messeae**) ადგილი აქვს F_1 -ის დედლების უკუქცევით შეჯვარებას მშობლიურ ფორმებთან. მაგრამ თითქმის წარმოუდგენელია მსგავსი მოვლენების მიმდინარეობა ბუნებაში, რადგან ამ შემთხვევაში მიღებული თაობებიც სტერილურია და მათი მშობლიური ფორმების უმრავლესობა გავრცელების მხრივ არასიმპატურული. აქედან გამომდინარე, „**maculipennis**“-ის აღნიშნულ ფორმებს ჩვენ განვიხილავთ როგორც რებროდუქციულად იზოლირებულ სახეობებს და მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მათ



შორის საქართველოშიც გავრცელებულათვის მორფოლოგიურ ან ეკოლოგიურ თავისებურებათა გათვალისწინებით, სახელწოდების შერჩევა.

როგორც უცხო ავტორთა [1,2,7], ისე ჩვენი [5,6,17] გამოკვლევებით დადასტურებულია, რომ *An. melanoon*-ის ძირითადი მორფოლოგიური ნიშანი კვერცხების ეგზოქორიონის შავი შეფერილობაა, *An. subalpinus*-ის კი კვერცხების ჭრელი ფერი. რაც შეეხება *An. sacharovi*-ს, მისი იმაგოსწინა ფაზების განვითარება, კომპლექსში შემავალი ზოგიერთი სხვა სახეობის წყლის ფაზების მსგავსად, დამოკიდებულია მარილიანობის გადიდებული შემცველობის წყალსატევებთან. ამ მონაცემებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია *An. melanoon*-ს ეწოდოს მალარიის შეკვერცხებიანი კოლო, *An. subalpinus*-ს - მალარიის ჭრელკვერცხებიანი კოლო, *An. sacharovi*-ს კი - ფავრის პალეოფილური მალარიის კოლო. რაც შეეხება *An. maculipennis*-ს, ის ცნობილია როგორც მალარიის ჩვეულებრივი კოლო.

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის
სამინისტრო
სეირისაღამის სახ. სამედიცინო
პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის
ინსტიტუტი

(შემოვიდა 18.05.1993)

ЭНТОМОЛОГИЯ

Ш.Г.Сичинава, А.Г.Зерекидзе

О репродуктивных взаимоотношениях видов
комплекса „maculipennis“ Палеарктики и названиях
некоторых из них

Р е з ю м е

В результате исследований зарубежных авторов и наших опытов в Палеарктике известно репродуктивно изолированных друг от друга 9 видов комаров комплекса „maculipennis“. Из них в Грузии встречаются 4 вида: *An. maculipennis*, *An. melanoon*, *An. subalpinus* и *An. sacharovi*. На основании основных морфологических и экологических особенностей мы считаем целесообразным *An. melanoon* назвать черноязычным малярийным комаром, *An. subalpinus* - пестроязычным малярийным комаром, а *An. sacharovi* - галофильным малярийным комаром Фавра. Что касается *An. maculipennis*, он известен как обыкновенный малярийный комар.

ENTOMOLOGY

Sh.Sichinava, L.Zerekidze

On Reproductive Intercelation of the Species of Paleoarctic
„Maculipennis“ Complex and Some of their Names

S u m m a r y

As a result of investigations of foreign authors and our experiments in Paleoarctic 9 species of mosquito „maculipennis“ complex are known at present. They are reproductively isolated from each other. There are 4 species of them in Georgia: *An.*



maculipennis, *An. melanoon*, *An. subalpinus* and *An. sacharovi*. On the basis of morphological and ecological peculiarities *An. melanoon* is called the malarial mosquito with black eggs, *An. subalpinus* is called the malarial mosquito with motley eggs and *An. sacharovi* is called the galophilic malarial mosquito of Favre. As to *An. maculipennis*, it is known as the ordinary mosquito.

ლიტერატურა-ЛИТЕРАТУРА-REFERENCES

1. В.Н. Беклемишев. Экология малярийного комара. М., 1944.
2. А.В.Гуцевич, А.С. Мончадский, А.А.Штакельберг. Фауна СССР. Насекомые двукрылые. Комары. Л., 1970.
3. В.Н.Стегний. Автореф. канд. дисс. Л., 1976.
4. В.Н.Стегний. Зоол. журнал, 59, 10, 1980.
5. Ш.Г.Сичинава. Сообщения АН ГССР, 123, 2, 1986.
6. Ш.Г.Сичинава. Автореф. докт. дисс. М., 1989.
7. L.W.Hackett, A. Missiroli. Riv. malariol., 14, 1, 1935.
8. M.Bates. Ann. Entomol. Soc. Amer., 33, 1940.
9. J.A.Rioux. Encycl. Entomol., Paris, 35, 1958.
10. K.L. Knight, A. Stone. A Catalogue of The Mosquitoes of The World. Washington, 6, 1977.
11. G.V.White. Mosquito Systemat., 10, № 1, 1978.
12. Л.В.Рейнгард, А.Г.Толчиев. Мед. паразитол. и паразитар. болезни., 24, 1955.
13. J.B.Kitzmilller, G. Frizzi, R. Baker. Genet. Insect of Disease, 1967.
14. G.Frizzi, L. De Korli. Ital. Sympos. Genet., 2, 1954.
15. M.Coluzzi. Entomol. Soc. Amer., 7, 1, 1970.
16. В.Н.Стегний, Ш.Г.Сичинава, Н.Г.Сипович. Зоол. журнал, 54, 2, 1984.
17. Ш.Г.Сичинава. Известия АН ГССР. Сер. биол., 2, 1979.



P. Sagdieva

Studies on the Variability of Gamasid Mite *Haemogamasus Nidi* Mich. in South Georgia

(Presented by I. Eliava, Corr. member of the Academy 30.06.1992)

Presenting considerable morphological and biological diversity gamasid mites are a suitable object for the study of variability of parasitic mites. Orthotrichous and neotrichous setation are known to be the main morphological types of gamasid mites.

The purpose of the present paper is to characterize the variability of neotrichous gamasid mites using *Haemogamasus nidi* Mich. as a model. The preliminary results of our study [1], as well as the results on the study on variability of other neotrichous species, *Eulaelaps stabularis* (Koch) [2] have been already published.

Little is known of the variability of mites from the genus *Haemogamasus*. I.I. Bogdanov [3] reported the sizes of mites and peculiarities of setation in *Hg. ambulans* (Thor.) in West Siberia. We failed to find the data on variability of *Hg. nidi* in the available literature.

Hg. nidi is the most abundant among the gamasid mites in the nests of a common vole (*Microtus arvalis* Pall.) in Adjara [4] and the Javakheti Uplands, South Georgia [5].

The mites were collected in July 1988 in the environs of Ninotsminda (Bogdanovka), South Georgia from the common voles and in their nests. 190 specimens were available for our study, 145 females and 45 males. These mites were examined morphologically. In order to reveal the distribution of body length the dorsal shield length of 105 females was measured. 30 females and 30 males were measured in detail (table). The methods of examinations and statistical analyses were given in our previous publications [6, 7]. The nomenclature of setae follows N.G. Bregetova [8].

The morphological examination of mites has shown that the sternal shield is the most variable in the shape among female shields. Its posterior concave margin may be formed as a right symmetrical arch or irregular arch; sometimes the posterior margin may be denticulate or slightly wavy. Rarely the concavity in posterior margin of the shield is not well marked.

In the males the caudal part of the holovenral shield proved to be most variable in the shape. It may be formed as a drawn rounded triangle or an elongated triangle having relatively rounded outlines. Rarely the drawing of the shield caudal part is manifested poorly. Sometimes there is a small concavity before the caudal drawn part of the shield.

The dorsal shield length in the females ranges from 818 to 969 microns. The distribution of dorsal shield length in the females is symmetrical (Figure), and the specimens came into a modal class having dorsal shield length from 885 to 918 microns.



In *Hg.nidi* the number of character tending itself to a measuring was very limited: 10 in the females and 8 in males (table).

The females are considerably larger than the males; the largest males have just the same size as the smallest females. Among the measuring characters of the females the length of dorsal shield is the least variable, and the length of sternal shield is the most variable; it may be due to the mentioned peculiarities in the outline of the shield. In the males the least variable character is the dorsal shield length (table).




Figure. Distribution of the dorsal shield length in *Haemogamasus nidi* females from South Georgia. Along the axis of abscissae: the variational classes (in the points of ocular micrometer); along the axis of ordinates: the number of specimens in the classes.

A tendency was revealed to the higher variability of setae as compared with the same of shields in both males and females but that tendency was more distinct in the males. The similar tendency has been found in other gamasid mites having been studied, *Laelaps pavlovskyi* Zachv. [10], *L. agilis* Koch [6], *L. pitymydis lange* [7] and *E. stabularis* [2]. Some exceeding of setae variability above the variability of shields has been revealed also in tick *Ixodes persulcatus* Schulze [11].

Our data show that the males of species studied of gamasid mites are more variable than the females [6, 10 and our unpublished data] whereas remarkable differences have not been found between the variability of females and males in

Hg.nidi. The variability of *Hg. nidi* (using coefficient of variation) are lower than variability of other neotrichous species studied, *E.stabularis* [2].

Considering the variability of neotrichous species of *Eulaelaps* and *Haemogamasus* genera and also the markedly orthotrichous species from the genus *Laelaps* (without bearing in mind a male polymorphism) the neotrichous species show more distinct variations in the shape of shields.

Institute of Zoology, Georgian Acad.Sci.

(Received on 14.07.1992)

ზოოლოგია

პ. საგდიავა

გამაზური ტკიპის *Haemogamasus Nidi* Mich. ცვალებადობის შესწავლისათვის სამხრეთ საქართველოში

რ ე ზ ი უ მ ე

მორფოლოგიურად და მორფომეტრიკულად გამოკვლეულია ჭავჭავეთის ზეგანზე 1988 წლის ივლისის თვეში მოპოვებული ტკიპის *Hg. nidi*-ს მთელი სერია (145 მდედრი და 45 მამრი). გამოკვლეულ იქნა, რომ გამაზიდების ამ სახეობის მდედრებში ფორმის მიხედვით ყველაზე უფრო ცვალებადია სტერნალური ფარი, ხოლო მამრებში - მუცლის ფარის კაუდალური ნაწილი.

Table

Measurements and Variability of HAEMOGAMASUS NIDI in the South Georgia

Females				Males				
Characters	μm	$\frac{V_{\text{max}}}{V_{\text{min}}}$	CV	Characters	μm	$\frac{V_{\text{max}}}{V_{\text{min}}}$	CV	
Greatest length dorsal shield	907.7	1.14	3.2	Greatest length dorsal shield	779.3	1.08	2.85	
Greatest width dorsal shield	542.7	1.19	5.6	Greatest width dorsal shield	433.2	1.19	4.5	
Median length sternal shield	111.8	1.60	9.8	Greatest length holovertral shield	628.5	1.17	4.0	
Median length genito-ventral shield	446.3	1.16	5.3	Greatest width holovertral shield	345.1	1.28	5.4	
Greatest width genito-ventral shield	223.5	1.25	7.2	Length spermatodactyl	46.2	1.30	8.5	
Greatest length anal shield	107.3	1.32	7.4	Length setae	73.5	1.42	9.6	
Length setae	79.4	1.35	8.8					St ₂
	99.2	1.23	5.8					St ₃
	103.5	1.28	5.5	Mst	73.3	1.55	11.3	
	65.7	1.31	8.9					

Notes: μm means micrometers; $\frac{V_{\text{max}}}{V_{\text{min}}}$ - ratio of maximal to minimal value of characters [9]; CV - coefficient of variation.

მდებრების განაწილება სხეულის ზომის (ზურგის ფარის სიგრძე) მიხედვით სიმეტრიულია (სურ.). მდებრებში ყველაზე უფრო ცვალებად ნიშანთვისებად (ვარიაციის კოეფიციენტის მიხედვით) გვევლინება სტერნალური ფარის სიგრძე, მაშინ როდესაც, როგორც მდებრებისათვის, ისე მამრებისათვის ზურგის ფარის სიგრძე ნაკლებ ცვალებადია (ცხრ.).

როგორც ჩვენ მიერ აღრე შესწავლილი გამაზიდების სხვა სახეობებისათვის, ასევე Hg. nidi-ს ჯაგრების მეტრიკული ნიშანთვისებების ცვალებადობა ფარების ასეთივე ნიშანთვისებების ცვალებადობას აღემატება. ამასთან ერთად, სხვა სახეობებისაგან განსხვავებით (გვ. Laclaps, Eulaclaps), რომელთა მამრებიც მდებრებთან შედარებით უფრო განიცდიან ცვალებადობას, Hg. nidi-სათვის არ არის გამოვლენილი ასეთი შესამჩნევი განსხვავებები ცვალებადობებს შორის მდებრ და მამრ ინდივიდებში.

ЗООЛОГИЯ

П.Д.Сагдиева

К изучению изменчивости гамазового клеща *Haemogamasus nidi* Mich. в Южной Грузии

Резюме

Морфологически и морфометрически исследована серия клещей Hg. nidi (145 самок и 45 самцов), собранных в июле 1988 г. на Джавахетском нагорье. Выявлено, что у самок этого вида гамазид наиболее изменчив по форме стернальный щит, а у самцов - каудальная часть брюшного щита. Распределение самок по размерам тела (длине спинного щита) симметричное (рис.1). Наиболее изменчивым размером признаком щитов у самок (по коэффициенту вариации) оказалась длина стернального щита, наименее же изменчива у самок и самцов длина спинного щита (табл.). Как и у других ранее изученных нами видов гамазид, у Hg. nidi изменчивость размерных признаков щетинок превышает таковую щитов, однако, в отличие от других видов (представителей родов Laclaps и Eulaclaps), у которых самцы изменчивее самок, у Hg. nidi не выявлено заметных различий в уровне изменчивости самок и самцов.

ლიტერატურა-ЛИТЕРАТУРА-REFERENCES

1. П.Д.Сагдиева, К.В.Брегвадзе. Материалы X Всесоюз. совещ. по почвенной зоологии, Новосибирск, 1991.
2. P.Sagdieva, K.Bregvadze, Bull. of the Acad. of Sci. of the GSSR, 139, 2, 1990.
3. И.И.Богданов. В кн.: Паразитические насекомые и клещи Сибири, Новосибирск, 1980.
4. А.В.Соловьева. Тр. Армянской противочумной станции, № 2, 1963.
5. П.Д.Сагдиева и др. Сообщ. АН Грузии, 141, 3, 1991.
6. П.Д.Сагдиева, Л.М.Ткаченко. Сообщ. АН Грузии, 131 2, 1988.
7. П.Д.Сагдиева. Сообщ. АН Грузии, 136, 1, 1989.
8. Н.Г.Брегетова. Гамазовые клещи (Gamasoidea), Л., 1956.
9. Р.Л.Берг. Применение матем. методов в биологии, № 3, Л., 1964.
10. П.Д.Сагдиева. Автореф. канд. дисс. М., 1984.
11. Н.А.Филиппова. В кн.: Таежный клещ, Л., 1985.

რ. ჟორდანიას

ამერიკის შეერთებული შტატების ჩრდილო-დასავლეთის ზამთრის ორნითოფაუნის შესწავლისათვის

ექლენება ამერიკელ მეცნიერსა და
ქველმოქმედს ბატონ ჯორჯ სოროსს

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ი.ელიაშვილმა 20.10.1993)

ქართველი მკითხველისათვის ნაკლებად ხელმისაწვდომია ლიტერატურა ამერიკის კონტინენტის ფაუნაზე, ხოლო საკუთარ ენაზე მას თითქმის არაფერი არ გააჩნია; ამიტომაც, ვფიქრობ, რომ ფრამენტული მონაცემებიც კი - ცხოველთა სხვადასხვა ჯგუფის შესახებ - საინტერესო უნდა იყოს. სწორედ უკანასკნელთა რიცხვს მიეკუთვნება წინამდებარე ნაშრომიც.

1992 წლის იანვრის თვის განმავლობაში ვიზყოფებოდი ამერიკის შეერთებული შტატების ვაშინგტონისა და აიდახოს შტატებში, სადაც შევძელი რამდენიმე საინტერესო დაკვირვების ჩატარება; დაკვირვებებს ვაწარმოებდი მარშრუტული წესით, რაშიც დამეხმარა ვახტანგ ჟორდანიას, კარინ დიქსონი და ჯერი კაგელე. ფრინველების იდენტიფიცირებაში - სავსე პირობებში - დამეხმარა ჩემი მდიდარი გამოცდილება, ხოლო ადგილობრივი ფორმების გარკვევაში კი ჩინებული სავსე სარკვევები და მონოგრაფია [1-7], რომლებიც მაჩუქეს კიმ ჟორდანიამ, პოლ კენედიმ და ერიკ ნიუმენმა. ყველა ხსენებულ პირს მადლობას მოვახსენებ.

ფრინველებს ვაკვირდებოდი ქსპოკენის მიდამოებში, ქსიატლის მიდამოებში და შემდეგი მარშრუტების დროს:

სპოკენი-, ტბა კორეგ-ლაიკი-, კორდელენი-, ძველი მისია კატალდოში-, სილვერ მოუნტანი-, კურორტი კელოგი-, როქ მოუნტანის ნაციონალური პარკი და უკან;

სპოკენი-, ტბა სპრინგ-ლეიკი-, რიცვილი-, ვარდენი-, ტბა მოზეს-ლეიკი-, ჯორჯი-, მდ. კოლამბია-რივერი-, ჰიტტი-ტასი-, იაკიმა-, ელენსბურგი-, რაზლინი-, ისჩაინი-, მდ.იაკიმა-, ტბა ლეიკ-ქეჩე-, სნო-ჟუამას ქედი-, ერიქსონების აგარაკი-, ტბა სემენიქ-ლეიკი-, ესაქუა-, ბელვიუ-, ტბა ვაშინგტონ-ლეიკი-, სიატლი (წყნარი ოკეანის სიატლის უბე) და უკან;

სპოკენი-, ბერ-ლეიკი-, დიამონდ-ლეიკი-, ნიუპორტი-, მდ.პანდარე-რივერი-, ტბა პრისტ-რივერი და უკან.

ჩემ მიერ აღრიცხული ფრინველები მიეკუთვნება 11 რიგს; ესენია:

რიგი - ღორიხვასაირნი - GAVIIFORMES

წითელგულა (წითელიჩაბვა) ღორიხვა - *Gavia stellata* *
ეს ფრინველი რეგისტრირებულია ჩემ მიერ ტბა ლეიკ-ქეჩეზე.



შავგულა (შაეჩიჩაბვა) ღორიხვა - *Gavia arctica* *
 ამ ფრინველის მცირერიცხოვანი გუნდები აღრიცხულია ტბებზე კორეგ-ლეიკი და
 ლეიკ-ქეჩე.

პოლარული ღორიხვა - *Gavia immer*
 იაკიმასა და რაზლინს შორის მდებარე ტბორებზე აღვრიცხე ამ ფრინველის
 რამდენიმე ცალი.

რიგი - კოკონასნაირნი - PODICIPEDIFORMES

რუხლოყება კოკონა - *Podiceps grisigena* @
 რეგისტრირებულია წყნარი ოკეანის სიატლის ყურეში (3-4 ც.).

რიგი - ლაკლაკისნაირნი - CICONIIFORMES

დიდი ლურჯი ყანა - *Ardea herodias*
 რეგისტრირებულია ტბა პრისტ-რივერზე, ბრინკმაიერების აგარაკთან ახლოს.

ღამის ყანა - *Nycticorax nycticorax* @
 აღრიცხულია ტბებზე - ლეიკ-ქეჩე და პრისტ-რივერი (თითო ცალი).

ამერიკული ყარაულა (წყლის ბულა) - *Botaurus lentiginosus*
 შენიშნულია ჩემ მიერ იაკიმასა და რაზლინს შორის მდებარე ტბორებზე.

რიგი - ღერღეტისნაირნი - ANSERIFORMES

თეთრი ღერღეტი - *Chen (Anser) caerulescens*
 აღრიცხულია ამ მომთაბარე ფრინველის დიდი გუნდი - ქ.სიალის მიდამოებში, ტბა
 ვაშინგტონ-ლეიკზე.

კანადური ღერღეტი - *Branta canadensis*
 რეგისტრირებულია მოზრდილი გუნდების სახით ტბებზე: კორეგ-ლეიკი, სპრინგ-
 ლეიკი და მოზეს-ლეიკი, ხოლო ტბა პრისტ-რივერზე დიდხანს ვადევნებდი
 თვალყურს ორ წყვილს - ბრინკმაიერების აგარაკიდან, რომელიც ტბისპირასაა
 აგებული.

თეთრშუბლა იხვი - *Anas penelope* @
 რეგისტრირებულია ტბა სემენიე-ლეიკზე და იაკიმასა და რაზლინს შორის მდებარე
 ხელოვნურ ტბორებზე.

რუხი იხვი - *Anas strepera* @
 გუნდების სახით აღირიცხა ტბებზე კორეგ-ლეიკი და კორდელენი.

გარეული იხვი - *Anas platyrhynchos* @
 შენიშნულია მხოლოდ ტბა მოზეს-ლეიკზე - პატარა გუნდის სახით, ნაპირთან ახლოს.

სტენია-იხვინჯა - *Anas crecca* *

ამ ფრინველის გუნდი რეგისტრირებულია ჩემ მიერ ტბა კორეგ-ლეიკზე.

ფართოცხვირა (განეინისკარტა) იხვი - *Anas clypeata* *

შენიშნულია ტბა სპრინგ-ლეიკზე და ხელოვნურ ტბორებზე იაკიმასა და რაზლინს შორის.

ისლანდიური ამაყა - *Bucephala islandica*

მცირერიცხოვანი გუნდების სახით რეგისტრირებულია ტბებზე ლეიკ-ქეჩე და ვაშინგტონ-ლეიკი.

დიდი ბატასინი - *Mergus merganser* *

შენიშნულია სხვა წყალმცურავი ფრინველების გუნდთან ერთად კორეგ-ლეიკსა და კორდელენზე.

გრძელისკარტა ბატასინი - *Mergus sarrator* *

თითო-ოროლა ცალი აღირიცხა იაკიმასა და რაზლინს შორის მდებარე ტბორებზე.

რიგი - შავარდნისაირნი - FALCONIFORMES

შავარდენი - *Falco peregrinus* @

ამ იშვიათი ფრინველის ერთი ცალი აღვრიცხე სიატლთან ახლოს - ერიქსონების აგარაკთან გადასახვევის მიდამოებში.

ალალი - *Falco columbarius* *

რეგისტრირებულია კელოგის მიდამოებსა და სნო-ქუამას I გადასასვლელის ახლოს - თითო ცალი.

ქორი - *Accipiter gentilis* @

ერთადერთი ცალი აღვრიცხე ტყისპირას მდ.იაკიმას გადაღმა.

თეთრთავა არწივი (თეთრთავა ფსოვი) *Haliaeetus leucocephalus*

ამ დიდებული ფრინველის 3 ეგზემპლარი აღვრიცხე ტბების კორეგ-ლეიკისა და კორდელენის მიდამოებში, მათ შორის ორი - ბუდეზე, გარდა ამისა, თითო-ოროლა რეგისტრირებულია იაკიმასა და რაზლინს შორის მდებარე ტბორების მიდამოებში.

მთის არწივი - *Aquila chrysaetus* @

ამ ფრინველების სამი ცალი (წყვილი და წლევეანდულა) რეგისტრირებულია სნო-ქუამას ქედზე.

შაკი - *Pandion haliaetus* @

ერთადერთი ცალი აღვრიცხე ტბორებზე იაკიმასა და რაზლინს შორის მაშინ, როცა დამახასიათებლად ნადირობდა თევზზე.

რიგი - ქათმისნაირნი - GALLIFORMES

კოლხური ხოხობი - *Phasianus colchicus* @
 პატარა გუნდების (4-5 ცალი) გვხვდება მდ.სპოკენის ნაპირზე.

რიგი - წეროსნაირნი - GRUIFORMES

ამერიკული მელოტა - *Fulica americana*
 ამ ფრინველის 5 ეგზემპლარი შევნიშნე წყნარი ოკეანის სიატლის ყურეში.

რიგი - მეჭვავისნაირნი - CHARADRIIFORMES

ვერცხლისფერი თოლია - *Larus argentatus* @
 მრავლადაა ქ.სიატლის მიდამოებში, წყნარი ოკეანის ნაპირებზე.

ვეყანი თოლია - *Larus canus* *
 აღრიცხულია იქვე, სადაც ვერცხლისფერი თოლია.

რუხ-მომწვანო-ფრთება თოლია - *Larus glauca*
 ამ ფრინველის რამდენიმე ეგზემპლარი აღრიცხულია ჩემ მიერ სიატლის ყურის ნაპირებზე.

დასავლური თოლია - *Larus occidentalis*
 ორი ეგზემპლარი ამ ფრინველისა რეგისტრირებულია ქ.სიატლის მიდამოებში წყნარი ოკეანის სიატლის ყურის ნაპირებზე.

ბონაპარტესელი თოლია - *Larus philadelphia*
 ამ ფრინველის 3 ეგზემპლარი იყო ვერცხლისფერი თოლიების გუნდთან ერთად.

რიგი - მტრედისნაირნი - COLUMBIFORMES

შინაური მტრედი - *Columba livia (domestica)* @
 ბევრია სპოკენსა და ნიუპორტში, სიატლში უფრო ნაკლებია, მაგრამ იქაც არის.

რიგი - კოდალასნაირნი - PICIFORMES

ბუროძლიანი ხეკოდა - *Dendrocopos (Picoides) villosus*
 ამ ფრინველის ერთადერთი ეგზემპლარი რეგისტრირებულია ტბა პრისტ-რივერის მიდამოებში - ტყისპირას.

რიგი - ბელურასნაირნი - PASSERIFORMES

რუხი ღაქო - *Lanius excubitor* *
 ამ ფრინველის 3 ეგზემპლარი აღრიცხულია ჩემ მიერ რიცილის მიდამოებში.

მედულუკე - *Bombycilla garrulus* *

მედულუკეების გუნდი შევნიშნე კატალდოს ძველი მისიის მიდამოებში.

ნომადი (წითელგულა) შაშვი - *Turdus migratorius*

ამ შაშვის პატარა გუნდები ხშირად შემხვედრია ქ.სპოკენში, ბუჩქნარზე.

ჩრდილოური წიწკანა - *Parus atricapillus*

აღრიცხულია ქ.სპოკენის მიდამოებში, სადაც ჩვეულებრივი ფორმაა.

შავთავა ცოცია - *Sitta canadensis* @

მხოლოდ ერთხელ შევხვდი ამ ფრინველს, აიდახოს შტატში, ტყეში - ტბა პრისტ-რივერისაკენ მიმავალ გზაზე.

ჩვეულებრივი მგლინავა - *Certhia familiaris* @

რამდენჯერმე ვნახე ქ.სპოკენის შემოგარენსა და თვით ქალაქის განაპირა უბნებში.

შავწარბა ზონოტრიხია - *Zonotrichia atricapilla*

აღრიცხულია ჩემ მიერ ქ.სპოკენში, ეზოებში.

ამერიკული ნარჩიტა - *Carduelis tristis*

რეგისტრირებულია ქ.სპოკენის მიდამოებში, სადაც პატარა გუნდების სახით მომთაბარეობს.

ნაძვის ქივქავი - *Spinus (Carduelis) pinus*

აღრიცხულია ჩემ მიერ აიდახოს შტატში, რამდენიმე ადგილას, ტყისპირებში.

წითელი კოჭობა - *Carpodacus purpureus*

რამდენჯერმე ვაკვირდებოდი ამ ფრინველს ქ.სპოკენის მიდამოებში.

სახლის ბელურა - *Passer domesticus* @

ამ ფრინველის პატარა გუნდები ხშირად ნომადობენ ქალაქებში - სპოკენსა და ნიუპორტში.

ლურჯთავა ქანგისფერი ტრუპიალი - *Euphagus cyanocephalus*

ამ ფრინველის რამდენიმე ცალი აღვრიცხე გზაზე ბელვიუდან - სიატლამდე.

ჩვეულებრივი შროშანი (შოშია) - *Sturnus vulgaris* @

ამ ფრინველის მრავალრიცხოვანი გუნდები ვნახე ჭორჭისა და ნიუპორტის მიდამოებში.

საზოგადოებრივი ყვავი - *Corvus brachyrhynchos*

ამ ფრინველის 6-7 ცალი აღვრიცხე ქ.ნიუპორტის მიდამოებში.

კაქკაქი - *Pica pica* @

კაქკაქები რეგისტრირებულია ჩემ მიერ სპოკენიდან ტბა სპრინგ-ლეიკამდე მდებარე ტერიტორიაზე, რამდენჯერმე ვნახე 2-3 ცალი.

სტელერისეული ჩხიკვი - *Cyanicitta stelleri*

ამ ფრინველის ორი ეგზემპლარი რეგისტრირებულია ჩემ მიერ აიდახოს შტატში - ნიუპორტიდან ტბა პრისტ-რივერამდე მდებარე გზაზე, ტყისპირებში.

ამრიგად, ერთი თვის მანძილზე, ამერიკის შეერთებული შტატების ჩრდილო-დასავლეთში, ორი შტატის - ვაშინგტონისა და აიდახოს ტერიტორიაზე ზამთარში, იანვრის თვეში, მე შევძელი 48 სახის ფრინველის რეგისტრაცია, რომლებიც მიეკუთვნება 11 რიგს. აქედან 27 სახის ფრინველი საქართველოშიც შეიძლება გვხვდებოდეს, ხოლო 21 - დამახასიათებელია მხოლოდ ამერიკის კონტინენტისათვის ან ჰოლარქტიკისათვის, მაგრამ ჩვენში მოიპოვება მსგავსი სახეები.

* - ნიშნით აღნიშნული მაქვს ის სახეები, რომლებიც საქართველოში მხოლოდ მიმოფრენისას ან შემოფრენისას გვხვდება, ხოლო @ - ნიშნით კი ის სახეები, რომლებიც საქართველოში ბინადრობენ ან ბუდობენ.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

(შემოვიღა 18.11.1993)

ЗООЛОГИЯ

Р.Г.Жордания

К изучению зимней орнитофауны северо-запада США

Резюме

Посвящается известному американскому
ученому и благотворителю **Джоржу Соросу**

Статья представляет собой итог личных наблюдений автора, проведенных маршрутным методом в январе 1992 года - в штатах Вашингтон и Айдахо (США). Зарегистрировано 48 видов птиц, принадлежащих к 11 отрядам. * знаком отмечены виды, встречающиеся в Грузии только во время пролетов или залетов, а @ знаком - виды, которые в Грузии оседлые или гнездящиеся; всего таких 27 видов, остальные же (21 вид) - характерны только для Американского континента или для Голарктики.

R. Zhordania.

For Research of Winter Ornithofauna of North-West of the USA

Summary

Dedicated to American scientist and philanthropist Dr. **George Soros**

This work represents the results of observation that was fulfilled according to the route rule by the author in January 1992 in Washington and Idaho states of the USA. During this time he registered the birds of 48 species of 11 orders. The number of species of birds flying transiently or towards the territory of Georgia and species living and nesting there is 27. As to the other 21 species, they are characteristic of American continent and Holarctic at all.

ლიტერატურა-ЛИТЕРАТУРА-REFERENCES

1. Audubon's Bird of America. Popular edition. The Macmillan Company. New York, 1950.
2. *Florance Merrian Bailey*. Handbook of Birds of the Western United States. Houghton Mifflin Company. Boston and New York, 1920.
3. Birds of America. Inc. Garden City, New York, 1936.
4. *Stanley G. Jewett et al.* Birds of Washington State. Univ. of Washington Press, Seattle, 1953.
5. *Chandler S. Robbins, Bertel Bruun and Herbert S. Zum.* A guide to field identification birds of North America. Golden Press, New York, 1966.
6. *Miklos D.F. Udvardy.* The Audubon Society Field Guide to North American Birds. New York, 1984.
7. *Herbert S. Zim, Ira N. Gabrielson.* Birds. A Guide to the Most familiar American Birds. A Golden Nature Guide. Simon and Schuster. New York, 1956.



შპს 616.33-002.44-022.7.579.835

მეცნიერებათა აკადემიის ბიულეტენი

ვ.თევზაძე, ჯ.ბენიშვილი

HELICOBACTERIA PYLORIS-ის მნიშვნელობა მაიმუნების კუჭის ექსპერიმენტული კიბოს განვითარებაში

(წარმოადგინა აკადემიკოსმა თ. იოსელიანმა 20.07 1992)

დღეისათვის დადგენილია კუჭში კანცეროგენული ნიტროზოშენაერთების სინთეზის შესაძლებლობა ნიტრიტების ამინებთან ურთიერთქმედების შედეგად (Sander et al [1]). ამინები ჩვეულებრივ საკვანო რაოდენობითაა საკვებში, ნიტრიტები შეიძლება დამატებულ იქნეს საკვებ პროდუქტებზე (ხშირად კონსერვანტების სახით), ან წარმოქმნან ნიტრიტებიდან მათი აღდგენის შედეგად ზოგიერთი ბაქტერიის გავლენით.

არსებობს შეხედულება, რომ ერთ-ერთი ბაქტერია, რომელიც აღადგენს ნიტრატებს ნიტრიტებად, არის *Helicobacteria pyloris* [1].

Helicobacteria pyloris აღმოჩენილ იქნა ავადმყოფებში კუჭის მალაღლიფერენციურული ადენოკარცინომის დროს, როგორც სიმსივნის ქსოვილში, ასევე მის მეზობლად ლორწოვან გარსში, სადაც გამოხატული იყო მწვავე გასტრიტის სურათი [2]. შეიძლება *Helicobacteria pyloris* თამაშობდეს გარკვეულ როლს კუჭის კიბოს პათოგენეზში, განსაკუთრებით, ახალგაზრდა ავადმყოფებს შორის [3].


ჩვენ მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა კანცეროგენების წინამორბედებიდან ენდოგენური წარმოქმნის შესაძლებლობა მაიმუნებში და *Helicobacteria pyloris*-ის როლი ამ პროცესში, ამისათვის კის მაიმუნებში წინასწარ შესწავლილ იქნა *Helicobacteria pyloris*-ის არსებობა ურჯახის ტესტის გამოყენებით [4]. კუჭის კიბოს მისაღებად გამოიყენებოდა გასტროტროპული კანცეროგენი - N-ეთილ-N-ნიტრო-ნიტროზოგუანიდინი (ენნგ), რომელსაც, როგორც ცნობილია [5,6], შეუძლია მაიმუნებში კუჭის ავთვისებიანი სიმსივნის წარმოქმნა.

ცდები ჩატარებულ იქნა *N. caca fascicularis*-ის ჯიშის 12 მაიმუნზე (მამალი - 11, დედალი - 1), რომლებიც იმ კოფებოდნენ საქართველოს ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრის ვივარიუმის ჩვეულ პირობებში დიეტაზე. ცხოველები დაყავიით სამ ჯგუფად: I ჯგუფში იყო 7 ცხოველი, რომელთაც წინასწარი გამოკვლევით *Helicobacteria pyloris* არ აღმოაჩნდათ და რომლებიც კვირაში ორჯერ პერორალურად ღებულობდნენ ენნგ-ს 2%-იან სუსპენზიას მზეს ემზიარას ზეთში, დოზით 50 მგ/კგ მასაზე. II ჯგუფში ავიყვანეთ სამი მაიმუნი, ჰათ დადგენილი ჰქონდათ *Helicobacteria pyloris*-ის არსებობა და მათგან ორი ღებულობდა ენნგ-ს წყალხსნარს. III ჯგუფში იყო ორი მაიმუნი, ორივეს აღმოაჩნდა *Helicobacteria pyloris*, მათგან ერთი ღებულობდა ენნგ-ს, ხოლო დანარჩენ ორს (II-III ჯგუფებიდან) პერორალურად საკვებთან ერთად ეძლეოდა ყოველდღიურად De-Nol (ინდოეთი) - ერთი ტაბლეტი 5 მგ/კგ, ბისმუტის პრეპარატი, რომელსაც გააჩნია ანტიპელიოზაქტერიული მოქმედება.

გასტრობლასტომოგენეზის დინამიკაში შესასწავლად მაიმუნებს კვირაში ერთხელ უტარდებოდათ საყლაპავის და კუჭის ენდოსკოპია "Olimpul" BP-JTR. ფიბროგასტროსკოპის მეშვეობით ვიღებდით კუჭის ლორწოვანის რამდენიმე ნაჭერს



პილოროს ანტრალური ნაწილიდან. ნაჭრებს ვათავსებდით ნეიტრალურ ფორმალინის 10%-იან ხსნარში და ვაყალიბებდით ცელოიდში. ანათლებს ვლგებდით ჰემატოქსილინით და ეოზინით (სურ.ა). ცდის ბოლოს, 120 კვირის შემდეგ, შევისწავლეთ ურეაზას ტესტი იმ მაიმუნებში, რომელთაც დადგენილი ჰქონდათ *Helicobacteria pyloris*-ის არსებობა, კრისტენსენის ნიადაგის გამოყენებით 3 და 24 საათის შემდეგ.



სურ. მაიმუნი 9: ა. HELICOBACTERIA PYROLIS კუჭის ლორწოვანში ბ. კუჭის ადენოკარცინომა. შეღებვა ჰემატოქსილინ-ეოზინით. გადიდება 300.

ჩატარებული ცდები მოწმობენ, რომ ენგ-ს ხანგრძლივ შეყვანას შეუძლია განახორციელოს მაიმუნებში კუჭის კიბოს ინდუქცია. მიღებული სიმსივნეები თავისი ბიოლოგიური მონაცემებით, მიმდინარეობითა და კლინიკური გამოვლინებით ძალიან ახლოსაა ადამიანის შესაბამის პათოლოგიასთან. კუჭის კიბოს წარმოქმნამდე რამდენიმე თვით ადრე ცხოველებს აღინიშნებოდათ წონაში დაკლება, რაც განპირობებული იყო იმით, რომ ისინი ხშირად უარს ამბობდნენ საკვების მიღებაზე. პერიოდულად აღინიშნებოდა გულისრევა და პირღებინებაც. სექციაზე კუჭის პილორული ნაწილი იყო მეტად გამკვრივებული, უპირატესად ლორწოვანის ხარჯზე და იკავებდა ფართობს 3 - 2 სმ, ხოლო განაკვეთზე ჰქონდა მორუხო-თეთრი ფერი. მიკროსკოპულად სიმსივნეები შედგებოდა ატიპური, პოლიმორფული უჯრედებისაგან, გადიდებული, ჰიპერქრომული ბირთვებით და ბაზოფილური ციტოპლაზმით. მიტოზები გახშირებული იყო (სურ.ბ). სიმსივნეები ჩაზრდილი იყო კუჭის კედლის ყველა ნაწილში, მათ შორის სეროზულ გარსშიც. მეტასტაზები სხვა ორგანოებში არ აღინიშნებოდა. I ჯგუფის მაიმუნებში ერთ შემთხვევაში 120 კვირის შემდეგ განვითარდა სიმსივნე, რომლის მიკროსკოპულად შესწავლის შემდეგ დაისვა დაბალდიფერენცირებული ადენოკარცინომის დიაგნოზი. II ჯგუფის სამი მაიმუნიდან ორ შემთხვევაში სიმსივნის წარმოქმნა აღინიშნა 100 კვირის შემდეგ. მიკროსკოპულად დადგინდა ადენოკარცინომა. მესამე მაიმუნის კუჭის ლორწოვანში აღინიშნებოდა გამოხატული ჰიპერპლაზია. ურეაზას ტესტი სამივე შემთხვევაში იყო დადებითი 24 საათის შემდეგ. III ჯგუფის ცხოველებში სიმსივნე არ განვითარდა. ურეაზული აქტივობა ორივე შემთხვევაში იყო უარყოფითი, როგორც 3, ასევე 24 საათის შემდეგ (ცხრილი). აღსანიშნავია II ჯგუფის მაიმუნებში კიბოს განვითარების ლატენტიური პერიოდის შემცირება და მორფოლოგიური შესწავლისას სიმსივნის სიმწიფის ხარისხის შეცვლა, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს ენგ-ს და *Helicobacteria pyloris*-ის ერთდროული ცალ-ცალკე მოქმედებით მათი სინერგიზმით. ამავე ჯგუფში აღსანიშნავია კუჭის ლორწოვანის ჰიპერპლაზია



გასტროტროპული კანცეროგენის გამოყენების გარეშე. III ჯგუფში De-Nol მიღების შემდეგ გამოვლინდა მისი სრული ანტიპელიკობაქტერიული მოქმედება.

ცხრილი

მამოდიფიცირებელი ფაქტორების მნიშვნელობა მაიმუნის კუჭის კიბოს განვითარებაში

საცდელი ჯგუფები და მაიმუნების ნუმერაცია	სქესი	მამოდიფიცირე- ბელი ფაქტორები	ურეაზული აქტივობა		ლატენტური პერიოდი სიმსივნის წარმოქმნი- სათვის	სიმსივნის მორფო- ლოგიური შენება
			3 სთ	24 სთ		
I სერია						
1	მამალი	ენნგ	-	-	-	-
2	დედალი	ენნგ	-	-	-	-
3	მამალი	ენნგ	-	-	-	-
4	მამალი	ენნგ	-	-	-	-
5	მამალი	ენნგ	-	-	-	-
6	მამალი	ენნგ	-	-	-	-
7	მამალი	ენნგ	-	-	120 კვირა	ადენოკარ- ცინომა
II სერია						
8	მამალი	ენნგ+Helicobac- teria pyloris	+	+	100 კვირა	დაბალდიფე- რენცირე- ბული ადენოკარ- ცინომა
9	მამალი	ენნგ+Helicobac- teria pyloris	+	+	100 კვირა	დაბალდიფე- რენცირე- ბული ადენოკარ- ცინომა
10	მამალი	ენნგ+Helicobac- teria pyloris	+	+	-	-
III სერია						
11	მამალი	ენნგ+Helicobac- teria pyloris +De- Nol	+	-	-	-
12	მამალი	ენნგ+Helicobac- teria pyloris +De- Nol	-	-	-	-

ამ მოვლენამ, უნდა ვივარაუდოთ, რომ დაარღვია კანცეროგენის ენდოგენური სინთეზი, რამაც გამოიწვია ენნგ-ს ბლასტომოგენური ეფექტის ინგიბირება. ყოველივე ზემოთ აღნიშნული გვაფიქრებინებს, რომ გასტროტროპული კანცეროგენის ენნგ-ს მოქმედების რეალიზაციაში გარდა კანცეროგენის უშუალო მოქმედებისა,

გარკვეული მნიშვნელობა აქვს სხვა ფაქტორებსაც, რომელთა შორის *Helicobacter pylori*-ს შეუძლია გარკვეული ადგილი დაიკიროს. ჩატარებულმა ცდებმა ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა რომ ენჯ-თი ინდუცირებული მაიმუნების კუჭის კიბო წარმოადგენს ისეთ ოპტიმალურ ექსპერიმენტულ მოდელს, რომელზეც მეტად მოხერხებულია ადამიანის კუჭის ავთვისებიანი სიმსივნეების პათოლოგიის მთელი რიგი საკითხების შესწავლა.

საქართველოს რესპუბლიკის ჯანდაცვის და
სოცულრუნველყოფის სამინისტროს
ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრი

(შემოვიდა 23.07.1992)

ЭКСПЕРИМЕНТАЛЬНАЯ МЕДИЦИНА

В.Б.Тевзадзе, Д.Ш.Бениашвили

Значение *HELICOBACTERIA PYLORIS* в развитии экспериментального рака желудка у обезьян

Резюме

В опытах использовались 12 обезьян породы *Macaca fascicularis*. Животные были разделены на 3 группы. I группе давали гастротропный канцероген этил-N-нитро-нитрозогуанидин (ЭННГ). Во II группе при наличии *Helicobacter pylori* двое из трех получали ЭННГ. В III группе при наличии *Helicobacter pylori*, кроме ЭННГ, обезьянам давали антигеликобактерийный препарат De-Nol. В I и II группах наблюдались опухоли желудка, при этом у животных I группы сократился средний латентный период развития рака. В III группе опухоли желудка не были обнаружены и наблюдалась уреазонегативность.

EXPERIMENTAL MEDICINE

V.Tevzadze, D.Beniashvili

The Role of *HELICOBACTERIA PYLORIS* in the Development of Experimental Gastric Cancer in Monkeys

Summary

Experiments were performed in 12 *Macaca fascicularis* monkeys which were divided into 3 groups. In group 1 animals were given gastrotropic carcinogen ethilnitronitrosoguanidine (ENNG); in group 2, with *HELICOBACTERIA PYLORIS* present, two animals of three received ENNG, in group 3 (with *HELICOBACTERIA PYLORIS* present), antihelicobacterial drug De-Nol was given besides ENNG. In groups 1 and 2 gastric tumors were observed, with animals of group 2 showing a reduction in the mean latent period of gastric cancer development. In group 3 no cases of gastric cancer were detected and urease-negative results were observed.



ლიტერატურა-ЛИТЕРАТУРА-REFERENCES

1. *Ф.К.Джиоев, Г.Б.Плисс.* Практические и научные основы профилактики канцерогенных воздействий. Л., 1984.
2. *S.Mazen et al.* J.Egypt. Med.Assoc. **72**, 55, 1989, 459-465.
3. *R.Loffeld et al.* Histopathology, **17**, 6, 1990, 537-541.
4. *თ.კერესელიძე და სხვ.* საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შრომებე, **143** 2, 1992.
5. *H.Ohgaki.* J.Nat.Cancer Inst., **77**, 1986, 179-186.
6. *Z.Azentirway.* Jpn. J. Cancer Res., **81**, 1990, 6-9.



რ. ხომერიკი

საყოფაცხოვრებო მაგნიტური ველებით და ეთილნიტროზოშარდოვანათი ინდუცირებული ტრანსპლაცენტური სიმსივნეების ბიოლოგიური და მორფოლოგიური თავისებურებანი

(წარმოადგინა მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, თ.დგანოსიძემ 4.05.1993)

ეპიდემოლოგიური მონაცემებით [1-3] ამ ბოლო დროს აღინიშნება ბავშვებში ავთვისებიანი სიმსივნეებისა და ლეიკოზების გაზრდა საყოფაცხოვრებო დანადგარებში გამოყენებული ელექტრომაგნიტური ველების ზემოქმედების შედეგად.

ჩვენი გამოკვლევების მიზანს წარმოადგენდა საყოფაცხოვრებო მაგნიტური ველებით და ეთილნიტროზოშარდოვანათი (ენშ) შთამომავლობაში ინდუცირებული სიმსივნეების ბიოლოგიური და მორფოლოგიური თავისებურებების შესწავლა.

ექსპერიმენტში გამოყენებული იყო 50 ჰერცის სიხშირის, 160 ა/მ დაძაბულობის ცვლადი მაგნიტური ველი (ცმვ) და 300 ა/მ დაძაბულობის მუდმივი მაგნიტური ველი (მმვ), რომელთა პარამეტრები ადეკვატურია საყოფაცხოვრებო დანადგარებში გამოყენებული მაგნიტური ველების პარამეტრებისა.

ექსპერიმენტისთვის ავიყვანეთ 122 მაკე თეთრი უჯიშო ვირთაგვა, რომლებიც დაყოფილი იყვნენ შემდეგ ჯგუფებად, 1. ცმვ - 20 ვირთაგვა; 2. მმვ - 20; 3. ენშ +ცმვ - 25; 4. ენშ+მმვ - 25; 5. კონტროლი - 32 ვირთაგვა.

ექსპერიმენტმა გვიჩვენა, რომ ვირთაგვების პლაცენტა არ წარმოადგენს ბარიერს ცმვ-სა და მმვ-სათვის. როგორც ცხრილიდან ჩანს, მაკეობის ბოლო მესამედში ცმვ და მმვ-ს ზემოქმედება და ენშ-ს შეყვანა ღოზით 80 მგ/კგ, განაპირობებს შთამომავლობაში უპირატესად ნეიროგენური და ნეფროგენური სიმსივნეების ინდუცირებას. ყველაზე ხშირად სიმსივნეები ცხოველებს განუვითარდათ პერიფერიულ ნერვულ სისტემაში (130 შემთხვევა). ლოკალიზაციის მიხედვით ისინი განაწილდნენ შემდეგნაირად, მარცხენა საჯდომი ნერვი - 40, მარჯვენა საჯდომი ნერვი - 20, კისრის მარცხენა წნული - 12, კისრის მარჯვენა წნული - 26, გავა-წელის წნული - 19, სამწვერა ნერვის გასერის კვანძი - 13.

ყველაზე ხშირად პერიფერიული ნერვული სისტემის წარმონაქმნებიდან ცხოველებს აღენიშნებოდათ კეთილთვისებიანი სიმსივნეები, რომელთა რაოდენობა შეადგენდა - 100 (77 %), ისინი უფრო ადრე და მეტი რაოდენობით უჩნდებოდათ III და IV ჯგუფის ვირთაგვებს, სხვა ჯგუფებთან და კონტროლთან შედარებით.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ცმვ და მმვ-ს შეუძლიათ შთამომავლობაში სიმსივნეების წარმოქმნა კანცეროგენის შეყვანის გარეშეც (განსაკუთრებით I ჯგუფში).

უმეტეს შემთხვევაში სიმსივნეების ზომა იყო 3-7 სმ. ისინი დაკავშირებული იყვნენ პერიფერიულ ნერვებთან, ჰქონდათ მკვეთრად გამოხატული საზღვრები, ოვალური,



ხანდახან თითისტარას მსგავსი ფორმა, რბილი - ელასტიკური კონსისტენცია. განაკვეთზე სიმსივნეები იყო ბოჭკოვანი, ბრწყინვალე, თეთრი ან რუხი ფერის ყვითელი კუნძულებით. სიმსივნეების ფერი და კონსისტენცია ხშირად იცვლებოდა დისტროფიული ცვლილებების და სისხლჩაქცევების გამო. სიმსივნის ცენტრში ხშირად აღინიშნებოდა ნეკროზული უბნები და კისტოზური ღრუები.

ჩატარებული ცდები მოწმობენ, რომ საყოფაცხოვრებო მაგნიტური ველები მოქმედებენ მიღებული სიმსივნეების მორფოლოგიურ სპექტრზედაც. ასე მაგალითად, III და IV ჯგუფის ვირთაგვებს უფრო ხშირად აღენიშნებოდათ ავთვისებიანი წარმონაქმნების (ნეიროგენური სარკომები და სიმპათოზლასტომები) განვითარება ვიდრე I, II და V ჯგუფის ცხოველებს, სადაც ჭარბობდა კეთილთვისებიანი სიმსივნეები - ნეირინომები.

ცხრილი
ნეიროგენული სიმსივნეების განაწილება მათი ლოკალიზაციისა და მორფოლოგიური სტრუქტურის მიხედვით

მორფოლოგიური შენება	კეთილთვისებიანი სიმსივნეები										ავთვისებიანი სიმსივნეები										სულ
	ფასციკულარული ნეირინომა					რეტიკულარული ნეირინომა					ნეიროგენული სარკომა					სიმპათოზლასტომა					
	I	II	III	IV	V	I	II	III	IV	V	I	II	III	IV	V	I	II	III	IV	V	
მარცხენა საჯდ. ნერვი	-	-	-	2	1	-	1	17	11	3	-	-	3	-	2	-	-	-	-	-	40
მარჯვენა საჯდ. ნერვი	1	-	1	-	1	1	-	5	7	1	-	-	2	-	1	-	-	-	-	-	20
მარცხენა კისრ. წნული	-	-	-	-	2	1	-	-	1	2	-	-	2	1	1	-	-	1	1	-	12
მარჯვენა კისრ. წნული	1	-	9	7	2	-	-	1	-	1	-	-	1	1	2	-	-	1	-	-	26
გაფა-წელის წნული	1	-	-	-	1	-	-	2	2	2	-	-	2	3	1	-	-	3	2	-	19
სამწვ. ნერვ. გასერის კვძ.	1	1	-	1	3	1	1	1	1	3	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	13
სულ	4	1	10	10	10	3	2	26	22	12	-	-	10	5	7	-	-	5	3	-	130
	35					65					22					8					

ჰისტოგენეზის მიხედვით ყველაზე ხშირად დაისვა ნერვის გარსიდან წარმონაქმნილი სიმსივნის (100 შემთხვევა), შედარებით იშვიათად სიმპათიკური ნერვული სისტემის წარმონაქმნის დიაგნოზი (8 ცხოველი). 100 ნეირონომიდან 65 ჰქონდა რეტიკულარული, ხოლო 35 - ფასციკულარული ნეირონომის მიკროშენება, ამ სიმსივნეთათვის დამახასიათებელი სტრუქტურებით („ვეროკაის სხეულაკებით“). 22 შემთხვევაში დიაგნოსტირებულ იქნა ნეიროგენური სარკომა. ფასციკულარული ნეირინომები შედგებოდა წაგრძელებული უჯრედების კონებისაგან, რომელთაც გააჩნდათ ჩხირისმაგვარი ბირთვები და ქმნიდნენ კონცენტრულ ფიგურებს. იშვიათად გვხვდებოდა მესერისმაგვარი სტრუქტურები. რეტიკულარულ ნეირინომებში არ აღინიშნებოდა ფასციკულარული ნეირინომებისათვის დამახასიათებელი ბოჭკოებისა და უჯრედების კონებად განლაგება და არცერთ შემთხვევაში არ შეგვხვდებოდა მესერისმაგვარი სტრუქტურები. 22 ვირთაგავს დაუდგინდა სხვადასხვა ხარისხის



სიმწიფის ნეიროგენური სარკომის დიაგნოზი. სიმსივნეების სიმწიფის ხარისხის შემცირებისას აღინიშნებოდა უჭრედშუა სუბსტანციის შემაერთქსოვილოვანი და ანგიოფიბროზული ბოჭკოების რაოდენობის შემცირება. სამაგიეროდ იზრდებოდა უჭრედების რაოდენობა, ისინი ღებულობდნენ პოლიმორფული, თითისტარასმაგვარი, პოლიგონალური, გიგანტური და მრავალბირთვოვანი უჭრედების ფორმას. სიმპათობლასტომები შედგებოდა წვრილი მრგვალი უჭრედებისაგან, რომლებსაც გააჩნდათ ისეთი დიდი ბირთვი, რომელიც თითქმის მთლიანად ავსებდა მთელს უჭრედს.

ამრიგად, საყოფაცხოვრებო დანადგარებში გამოყენებული დაბალი სიხშირის მაგნიტური ველის ტრანსპლაცენტური ზემოქმედების შედეგად ვირთაგვების შთამომავლობაში მიიღება ისეთი სიმსივნეები, რომლებიც თავისი თავისებურებებით ძალიან ახლოს არიან ბავშვებში გავრცელებულ სიმსივნებთან და ამიტომაც წარმოადგენენ მათ ადექვატურ მოდელს.

საქართველოს რესპუბლიკის ჯანდაცვის
საინისტრო ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრი

(შემოვიდა 13.5.1993)

ЭКСПЕРИМЕНТАЛЬНАЯ МЕДИЦИНА

Р.В.Хомерики

**Биологические и морфологические особенности
трансплацентарных опухолей, индуцированных
бытовыми магнитными полями и
этилнитрозомочевинной**

Резюме

